ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 21 მარტი, 2019 №67 (8021) ფასი: 60 თეთრი

რამაზ საყვარელიძე: „კოალიციური მთავრობა ივანიშვილის არჩევანია“

გვ.3

15 მარტიდან

მსოფლიო ლიტერატურის **კლასიკოსები**

ანდრე ჟიდი

ცოლთა სკოლა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ოცნებას“ ვაჭო შაქარაშვილიც დაუპირისპირდა

რამ აღაშფოთა თბილისის საკრებულოს დეპუტატი

გვ.4

„ოცნებას“ სალომეს გაპრეზიდენტება ძალიან ძვირი დაუჯდება“

გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოლიგარქის ხუშტურების შემსრულებელ კომპანიებს ჩვენი ჯიბიდან ვუხდით ხარკს“



გია ხუხაშვილი: „პრეზიდენტი კახური სიჯიუტით თავისას აგრძელებს, რაც საბოტაჟის ხასიათს ატარებს“

გვ.4

„პრეზიდენტი ეტიკეტზე სხვას ელაპარაკება და თვითონ პიანისტს პირდაპირ ეთერში უვარდება“

მიხეილ რამიშვილი: „მამა გიორგი მამალაძის ინსულტი შეიძლება ხელოვნურად იყოს გამოწვეული“

გვ.3

ნინო ლომჯარია დეკანოზის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვს

სამართალი გვ.7

ეკა ბესელიას ჩანაწერების საქმეზე ოთხივე დაკავებული პატიმრობაში დარჩა

„გირო კრედიტზე“ თავდასხმისთვის მამა-შვილი დააკავეს

თეა წულუკიანი: „არ მივიჩნევ, რომ მაჩალიკაშვილთან მიმართებაში სახელმწიფომ ჩაიდინა დანაშაული, რადგან ეს არ არის დამტკიცებული“

გვ.2

გვ.5

კახა კოჟორიძე: „კობახიძის კანონპროექტი კლანს კიდევ უფრო გააძლიერებს“

ეკონომიკა გვ.6

თამაზ დოლაბერიძე: არც ერთი მუშა სამუშაოზე თავის მოსაკლავად არ მიდის

ცნობილია ის 12 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსები მხოლოდ გაჩერებებზე გაჩერდებიან

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველო არ უნდა აღმოჩნდეს პოლიგონი ზესახელმწიფოების დაპირისპირებაში“

გვ.6

ISSN 1987-9385

5 როგორ გაიტაცეს მაქსიმ იაკოვლევი აფხაზეთის სასტუმროდან

4 შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავჭალაში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა — დაკავებულია 2 პირი

6 ანრი ოხანაშვილი: „ეკა ბესელია გასულია მომსახურების ზონიდან“

8 ჩეხეთში რუსი ჰაკერები დააპატიმრეს

„ოცნებას“ სალომეს გაპრეზიდენტება ძალიან ძვირი დაუჯდება“

შორენა მარსაგიშვილი

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოლიგარქის ხუშტურების შემსრულებელ კომპანიებს ჩვენი ჯიბიდან ვუხდით ხარკს“

რატომ იგებენ ტენდერებს მმართველი პარტიის დამფინანსებლები, რაზე აგებს პასუხს რუსი ოლიგარქი, რატომ ადანაშაულებს სალომე ზურაბიშვილი საქართველოს კიდევ ერთხელ ომის დაწყებაში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

დიმიტრი ბიძინაშვილი:

– ოლიგარქის ხუშტურების შემსრულებელ კომპანიებს ჩვენი ჯიბიდან ვუხდით ხარკს – „ოცნების“ შემომწირველები და ის კომპანიები, რომლებსაც ივანიშვილის ხეები გადააქვთ, ტენდერებს ტენდერებზე იგებენ.

მარტო მიმდინარე წელს ანუ 2,5 თვეში ამ კომპანიებმა 43.468.317-ის ტენდერები მოიგეს. ხომ წარმოგიდგენიათ, ბიძინას ხუშტურების შემსრულებლები კიდევ რამდენ მილიონს მოიგებენ წლის ბოლომდე.

საარჩევნოდ ხელისუფლება ბიზნესმენებს ეუბნება, რომ ფული შემოგვწირე, რის შემდეგაც მათ სასათბურე პირობებში ყოფნა გარანტირებული აქვთ.

– ასეთი პრინციპი ჰქონია „ოცნებას“ – შემოგვწირე და მოიგებ.

– ასე გამოდის. სხვანაირად „ოცნების“ შემომწირველთა კომპანიები ტენდერებს ტენდერებზე ვერ მოიგებდნენ.

ტენდერების სამართლიანად ჩატარების არ მჯერა. როგორ დავიჯერო, როცა ტენდერში ხშირად მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობს. ან ხელშეკრულებაში ისეთი მუხლია ჩადებული, რომლის დაკმაყოფილება მხოლოდ „ოცნების“ შემომწირველ კომპანიას შეუძლია.

შემდგომ ვნახულობთ, რომ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები არაჯეროვნად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ხშირად გასაკეთებელ საქმეს უხარისხოდ აკეთებენ. ამის მკაფიო მაგალითია ზაჰესის ხიდი. მისი გაკეთება თბილისის მერად მოსვლის დღიდან დაიწყეს, ამ კაცმა ისე ამოწურა თავისი უფლებამოსილების ვადა, რომ ხიდი ბოლომდე ვერ დასრულდა.

აღნიშნული კომპანია, წესით, უნდა დაესაჯათ, მაგრამ არა. ისინი „ოცნების“ შემომწირველები არიან და ხელისუფლება მათთან ხშირად აფორმებს მილიონიან კონტრაქტებს. ამ კომპანიას მარტო მიმდინარე წელს 16 მილიონის ხელშეკრულება გაუფორმეს.

ტენდერებს ხშირად იგებენ ხელისუფლებაში მყოფი პირების დაქვემდებარებაში მყოფი ფირმებიც. როცა ვსვამთ კითხვებს, თუ რატომ იგებენ ტენდერებს მხოლოდ „ოცნების“ შემომწირველები, მოგებულები სხვადასხვანაირად იმართლებენ თავს. ზოგი ამბობს, რომ სახელისუფლებო პარტიას შემთხვევით გადაურიცხა ფული, ზოგი იფიცება, რომ წარმოდგენა არ აქვს, როგორ გადაირიცხა მისგან „ოცნების“ ანგარიშზე თანხა.

– მამუკა ბახტაძესავით ყოფილან – საოცნებო ხელისუფლების პრემიერმა დღემდე არ იცის, როგორ გადაურიცხა 2012 წელს ნაციონალებს რამდენიმე ათეული ათასი ლარი.

– დაახლოებით ეგეთი სიტუაციაა. როგორც ბახტაძე მოხვდა „შემთხვევით“ ნაციონალების შემომწირველებში, ასევე „შემთხვევით“ გადაერიცხათ ფული „ოცნებისთვის“ ტენდერებში გამარჯვებულ ფირმებს.

ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ – როგორმე ასიამოვნონ ივანიშვილს. მათ საერთოდ არ აინტერესებთ, რომ კონკრეტული პროექტი აქვთ განსახორციელებელი. ამიტომაც არის დღეს საქართველო დაპაუზებული.

– მას შემდეგ, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ტენდერების გარშემო სულ სკანდალებია. ხელისუფლება რატომ არ ფრთხილობს, ასე დარწმუნებულია თავის უძლეველობაში?

– ისინი ივანიშვილის უძლეველობაში არიან დარწმუნებული. დღეს მთელი ხელისუფლება ამ ერთ კაცზეა ჩამოკიდებული. ეს კაცი ამათ ფულის კეთების საშუალებას აძლევს და რატომ არ გააკეთებენ? ხომ დავრწმუნდით ყველა, რომ ესენი ხელისუფლებაში საქმის საკეთებლად და ქვეყნის განვითარებისთვის არ მოსულან.

დარღვევებზე ოლიგარქი მხოლოდ მაშინ რეაგირებს, თუ ვინმე მას არ უერთგულებს. ასეთებს ის ფულის კეთების წყაროებს უკეტავს, წყაროგადაკეტილები რაღაც მიზეზებს იგონებენ, გუნდიდან გარბიან და ოპოზიციონერობას თამაშობენ.

ახლა „ოცნებიდან“ ბევრი გარბის. გაქცევას მოსამართლეების დანიშვნის წესზე არსებულ უთანხმოებას აბრალებენ. სინამდვილეში კი ფულს და გავლენებს ვერ ინაწილებენ.

– ვითომ მარტო ფულია ამის მიზეზი? მის გარშემო მყოფებს საკმაოდ კარგი პოლიტიკური ალღო აქვთ და შემთხვევით, გემის ჩაძირვის მოახლოებას ხომ არ გრძნობენ?

– ამ ადამიანებს ნამდვილად შესანიშნავი პოლიტიკური ყნოსვა აქვთ. მათ ზუსტად იციან, როდის იძირება გემი, ამიტომაც პირველები გარბიან იქიდან.

„ქართული ოცნების“ სახეებს რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ ყველა საიდანღაც არის გამოქცეული. მათ წასასვლელად განწირულ არც ერთ ხელისუფლებას არ უერთგულეს. ისინი არც ოლიგარქს უერთგულებენ.

ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ მოღვაწეობას ამთავრებენ. მედროვეები კი გარბიან, რათა ახალი გემი და ახალი პატრონი იპოვონ.

ეს ხელისუფლება ფაქტიურად შარშან, საპრეზიდენტო არჩევნებზე დამთავრდა, ის არჩევნები ოლიგარქის პარტიამ წააგო. ხელების გადაგრეხვა, მოსყიდვა და დაშინება რომ არ ყოფილიყო, სულ სხვა შედეგს მივიღებდით.

სამწუხაროდ, არჩევნების გადარჩენა ვერ შევძელით და დღეს სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტი ჰქვია. ეს ქალი საერთოდ სულ სხვა ფენომენია. ისიც კი არ ვიცი, რეალურად ვისი ან რისი პრეზიდენტია. ქვეყნის პრეზიდენტი რომ არ არის, ამის თქმა დანამდვილებით შემიძლია.

მისი ბოლო განცხადება საერთოდ კატასტროფა იყო. ჯერ პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში ამბობდა, რომ აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო. ახლა პრეზიდენტი ჰქვია და იგივეს იმეორებს.

ეს ადასტურებს, რომ ზურაბიშვილი ივანიშვილმა პუტინის და კრემლის დავალებით დასვა პრეზიდენტად. ისიც გაუთავებლად იმეორებს, რომ ჩვენ დავბომბეთ მძინარე ცხინვალი და ოსებს გენოციდი მოვუწყვეთ. გაიძახის, ჩვენს მოსახლეობას დავუშინეთ ბომბებიო.

– რუსებმა ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გახიზნეს სამოქალაქო პირები. თავად ოსები ადასტურებენ, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში მარტო ოსი მოხალისეები და რუსი სამხედროები იყვნენ. საინტერესოა, პრეზიდენტად წოდებული ვის მიიჩნევს ჩვენს მოსახლეობად – ოს ბოევიკებს თუ რუს ოფიცრებს?

– რუსი ოლიგარქისთვის და სალომე ზურაბიშვილისთვის, ეტყობა, ეგენი არიან შინაურები. გაუთავებლად იმის ძახილი, რომ ომი საქართველომ დაიწყო, არის სამარცხვინო. მისი ბოლო განცხადებების შემდეგ, ზურაბიშვილის პრეზიდენტად მოხსენიებაც კი უხერხულია.

– ამბობთ, რომ ივანიშვილი და „ოცნება“ პოლიტიკურ მოღვაწეობას ასრულებს. იქვე იმასაც აღნიშნავთ, რომ ოლიგარქმა საპრეზიდენტო არჩევნებზე სასურველი შედეგი ხელების გადაგრეხვით და მოსყიდვით მიიღო. ამ კაცს ისევ ძალიან ბევრი ფული აქვს და რა გარანტია გაქვთ, რომ საპარლამენტო არჩევნებშიც არ იყიდის ამომრჩეველს?

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებს სამართლიანად ჩაატარებს. ივანიშვილი არც ხალხის მოსყიდვასა და დაშინებაზე იტყოდა უარს, მაგრამ ვეჭვობ, ამის გაკეთება გაბედოს. მას ძალიან ძვირად დაუჯდება სალომეს გაპრეზიდენტება.

– ძვირი რატომ დაუჯდება? ან რატომ ვერ გაბედავს ამომრჩევლის მოსყიდვას და დაშინებას?

– დასავლეთი მას ამის უფლებას აღარ მისცემს. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია თავის ანგარიშში ხაზგასმით წერს, რომ საქართველოში არჩევნები გაყალბდა. ცოტა ხნის წინ „ოცნებისთვის“ ძალიან მძიმე დასკვნა დადო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

ასე რომ, ივანიშვილის საქმე წასულია – არჩევნებს ვეღარ გააყალბებს. ხალხი კი მის პარტიას თავისი სურვილით ხმას არ მისცემს.

თეა წულუკიანი: „არ მივიჩნევ, რომ მაჩალიკაშვილთან მიმართებაში სახელმწიფომ ჩაიდინა დანაშაული, რადგან ეს არ არის დამტკიცებული“

– მე არ მივიჩნევ, რომ მაჩალიკაშვილთან მიმართებაში სახელმწიფო ჩაიდინა დანაშაული, რადგან ეს არ არის დამტკიცებული, – ასე უპასუხა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა „ევროპული საქართველოს“ წევრის სერგო რატიანის კითხვას მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით.

– მაჩალიკაშვილზეც მკითხეთ, ბატონო სერგო. სახელმწიფომ ჩაიდინა დანაშაული და საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას თუ არა და ემხრობით თუ არაო. მე არ მივიჩნევ, რომ სახელმწიფომ ჩაიდინა დანაშაული, რადგან ეს არ არის დამტკიცებული. თქვენ იძახით ხან გოგაშვილს, ხან ვიღაცების გვარებს, ეს თქვენ დაადგინეთ თუ ვინ. ეჭვი არსებობს, კი ბატონო, მე ეს ეჭვი არ მაქვს, რომ სოსო გოგაშვილმა ვიღაცა დახვრიტა, თუ ამ სიტყვებით გინდათ, ამ სიტყვებით გეტყვით – ეს ეჭვი თუ გაქვთ, მაშინ ან დაამტკიცეთ, ან ნუ ატრიალებთ სახელებს და გვარებს აქეთ-იქით. სხვა ნაკლი მოგვიძებნეთ, ყველას ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ არა ის, რაც არ გაგვიკეთებია, – მიმართა სერგო რატიანს თეა წულუკიანმა.

დეპუტატის კითხვაზე, უნდა შეიქმნას თუ არა მაჩალიკაშვილის საქმეზე საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ ეს პარლამენტის გადასაწყვეტია.

– საპარლამენტო კომისია უნდა შეიქმნას თუ არა, ეს თქვენი გადასაწყვეტია და გადაწყვიტეთ, მაგრამ მე თუ მეკითხებით ჩემს პოზიციას, ის საპარლამენტო კომისია, რომელიც თქვენ შექმენით ხორავას ქუჩის ტრაგედიის გამოსაძიებლად და დამიბარეთ, კითხვები ვერ შეიმუშავეთ. მაჩალიკაშვილის საქმეზე თუ კომისია შეიქმნება, არ ვიცი დამიბარებთ თუ არა, რა შუაში ვარ, მაგრამ დამიბარეთ თუ გნებავთ, მაგრამ ვისაც დაიბარებთ, კითხვები მაინც მოამზადეთ და წესიერად გამოიძიეთ, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

„თუ სებ-მა რეაგირება არ მოახდინა, ქვეყანა გადავა დაბალ ეკონომიკურ ზრდაზე“

თუ ეროვნულმა ბანკმა შეინარჩუნა თავის სიმტკიცე და რეაგირება არ მოახდინა სარეგულაციო პაკეტის ნეგატიურ გავლენებზე, ქვეყნის ეკონომიკა გადავა ახალ სისტემაზე, რაც დაბალ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს, – ამის შესახებ საბანკო პროდუქტების ექსპერტმა დავით კიკვიძემ განაცხადა.

„კომერსანტმა“ კიკვიძეს GBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შეფასება სთხოვა, რომლის თანახმად 2019 წლის თებერვალი ზარალით დაასრულა 15-დან 4-მა ბანკმა. როცა იანვარში ზარალი 15-დან მხოლოდ 3-ს ჰქონდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „კოალიციური მთავრობა ივანიშვილის არჩევანია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, „ქართულ ოცნებაში“ განვითარებულ მოვლენებზე მინდა გკითხოთ. ჩვენ ვნახეთ, რომ ზვიად კვაჭანტირაძე თანამდებობიდან ვერ გადააყენეს. შემდეგ მამუკა მდინარაძემ გააკეთა განცხადება: ჩვენი გუნდის ყოფილი ერთი-ორი წვერი კადრულობს იმას, რასაც ნაციონალური მოძრაობაც კი არ კადრულობსო. ეს არის პოლიტიკის ნაწილი თუ მოვლენები კონტროლიდან არის გამოსული?

– შთაბეჭდილება რჩება, რომ პროცესები კონტროლიდან არის გამოსული. პარლამენტში განვითარებულ მოვლენებს თუ შევაფასებთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არათუ დაბალ პოლიტიკური კულტურასთან გვაქვს საქმე, არამედ დაბალ პოლიტიკურ ოსტატობასთან. საერთოდ პოლიტიკა არ ჩანს. ეს ყველაფერი მხოლოდ ამაზე მიუთითებს.

ზვიად კვაჭანტირაძის მოხსნის ფაქტზე რომ არ შევჩერდე, არ შეიძლება. რა გვიჩვენა ამ ფაქტმა: გხსნით იმიტომ, რომ წარუმატებელი იყავიო. ეს ხომ არის ელემენტარული სიცრუე და საზოგადოების უპატივცემლობა. ხომ ფაქტია, რომ ის მოხსნეს იმიტომ, რომ გუნდიდან წავიდა. ახლა გაახსენდათ, რომ წარუმატებელი იყო?! ეს დამოკიდებულება ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას.

– ლევან ლორთქიფანიძემ თქვა, თუ კვაჭანტირაძე კომიტეტის წარუმატებელი თავმჯდომარე იყო, მისი პირველი მოადგილე პრეზიდენტი როგორ გახდაო.

– პოლიტიკოსმა, მით უფრო პარლამენტის თავმჯდომარემ, არ უნდა თქვას ისეთი რამე, რომ ღიმილის მიზეზი გახდეს. ძალიან სწორი არგუმენტია მოყვანილი. მოტივი მაინც მოეფიქრებინათ ისეთი, რომ ასეთი არგუმენტები არ მოჰყოლოდა და სასაცილო არ გამხდარიყვნენ. სხვა თუ არაფერი, პოლიტიკა ხომ რიტორიკაა, მით უფრო, პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებული. ამიტომ ვსაუბრობ დაბალ ოსტატობაზე.

ის რეპლიკები, ის შეფასებები, რაც ისმის ყოფილი თანაგუნდელების მიმართ, კრიტიკას ვერ უძლებს, იცით, რატომ?! იმიტომ კი არა, რომ ასეთი შეფასებები მიუღებელია – არა! თუ გუშინ, როდესაც ერთად იყავით, კარგი იყო, დღეს ასეთი ცუდი როგორ გახდა?! ეს არის ორმაგი სტანდარტი – თუ ჩემთან ხარ, კარგი ხარ, თუ წახვალ. ცუდი.

აქ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ ყველაფრის შემხედვარე ამომრჩევლებს გული უცრუვდებათ. სწორედ აქედან მოდის ის ნიჰილიზმი, რომელიც ასეთი დამახასიათებელია ჩვენთვის. გულაცრუება პოლიტიკის მიმართ აქედან იღებს სათავეს, ასეთი მარგალიტებიდან.

შეიძლება მალე იქამდეც კი მივიდეთ, რომ პოლიტიკაში წამსვლელი ახალგაზრდები აღარ დარჩნენ და ეს მხოლოდ პოლიტიკოსების დამსახურება იქნება და სხვა არავისი.

– ეს პროცესები მოსამართლეებთან დაკავშირებით დაიწყო. უმრავლესობის წევრები, რომელთაც ამ საკითხზე კითხვები აქვთ, ამბობენ, რომ პულტთან მიიღებენ გადაწყვეტილებას. შეიძლება მართლაც ეს საკითხი გახდეს წყალგამყოფი?

– არ გამოვრიცხავ, რომ პროცესი ჯერ არ არის დასრულებული და ამ კანონპროექტის მიღების შემდეგ პროცესმა დომინოს ეფექტი მიიღოს. აქ შეიძლება იმუშაოს არაერთმა ფაქტორმა.

– მაგალითად?

– თუნდაც იმან, რომ ვიღაცას გულწრფელად სჯეროდა, რომ ის ათკაციანი სია მართლაც ჩამოშორდა სასამართლოს მთელი თავისი შემადგენლობით და შემდეგ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდება. მეორე, შეიძლება იყოს თვითგადარჩენის ინსტინქტი, „ქართული ოცნების“ დაღმავალი რეიტინგი და ა.შ.

– ჩაძირული გემიდან გადახტომა?

– დიახ, რასაკვირველია. უამრავი ფაქტორი იმუშავებს, მით უფრო, ჩვენ ვხედავთ, როგორი არაერთგვაროვანია ეს უმრავლესობა.

– ამ გადმოსახედიდან 2020 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ როგორი სახით მივა?

– თუკი არაფერი შეიცვლება და ასე გაგრძელდა, „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებს ვერ მოიგებს. ვერ მოიგებს არა იმიტომ, რომ ამომრჩეველს კობახიძე არ მოეწონება ან განცხადებას დაუწუნებენ – არა! აქ მთავარი იქნება ივანიშვილის ფაქტორი. ივანიშვილმა ამომრჩეველს საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხმები სთხოვა, სანაცვლოდ კი დაპირებები მისცა და მიიღო ის მოსამართლეები, რომლებიც ყველასთვის მიუღებელია.

ეს მოსამართლეები შეიძლება ივანიშვილისთვის საბედისწერო აღმოჩნდნენ. ივანიშვილი სანდო არ არის, მის სიტყვას ფასი არ აქვს – ამ დასკვნის საფუძველი ხდება მოსამართლეების თემა. იმედია, ამას დაანახებენ მას და ასევე იმედია, რაღაც ნაბიჯებს გადადგამს. ივანიშვილმა იცის ხოლმე მოულოდნელი ნაბიჯები. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– ამ არჩევნებზე დაბალია საარჩევნო ბარიერი. ბევრი კოალიციურ მთავრობას არ გამორიცხავს. შეიძლება აქეთკენ წავიდეს ყველაფერი?

– დიახ, სწორედ ეს ვიგულისხმე, არავის ექნება მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტების მანდატი. ამისთვის საჭირო გახდება კოალიციის შეკვრა. აი, ვისთან და როგორ განლაგდება ეს მოზაიკა, ეს გამოჩნდება ძალიან მალე.

– „ევროპული საქართველო“ და თავისუფალი დემოკრატები საარჩევნო ალიანსზე საუბრობენ.

– ასეთი ბევრი საარჩევნო ალიანსი გამოჩნდება. აქ მთავარი ფაქტორი არის დაბალი საარჩევნო ბარიერი. ეს მისცემს შესაძლებლობას ბევრ პარტიას, რომ პარლამენტში შევიდეს, მაგრამ შემდეგ იქ ვინ ვისთან შეკრავს კოალიციას, ეს იქნება მნიშვნელოვანი. „ოცნებისთვის“ შეიძლება კრიტიკული სიტუაცია აღმოჩნდეს.

– რატომ? შეიძლება ნაციონალურ მოძრაობასთან მოუწიოს კოალიციაში შესვლა?

– არაფერია გამორიცხული. თუ „პატრიოტთა ალიანსი“ იქნება მძლავრად წარმოჩენილი, მაშინ კრიტიკული ვითარება ნაკლებად იქნება „ოცნებისთვის“, მაგრამ ამას ამომრჩეველი წყვეტს. ვნახოთ. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დაბალმაჩვენებლიანი „ოცნების“ წამოკიდება უკვე „პატრიოტთა ალიანსმაც“ აღარ მოისურვოს. ხომ იცით, პოლიტიკაში ქველმოქმედება არ მოდის ხოლმე.

მე არ გამოვრიცხავ, რომ კოალიციური მთავრობა ბიძინა ივანიშვილის შეგნებული არჩევანი იყოს და ეს ყველაფერი აქეთკენ იყოს მიმართული. ერთი, კოალიციური მთავრობის დროს პირადად მისი პასუხისმგებლობა ნაკლები იქნება, ახლა თუ ყველაფერზე თითს მისკენ იშვერენ, ასე არ იქნება და მეორე, მას ერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ქვეყნის განვითარება სწორედ კოალიციური მთავრობით წარმოუდგენია.

შეიძლება ეს არის ჩანაფიქრი, ოღონდ ვისთან, ამას ვნახავთ მოგვიანებით.

მიხეილ რამიშვილი: „მამა გიორგი მამალაძის ინსულტი შეიძლება ხელოვნურად იყოს გამოწვეული“

ნინო ლომჯარია დეკანოზის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობასა და თავად პარლამენტში მიმდინარე საცირკო სანახაობაზე გადართულ საზოგადოებას საერთოდ დაავიწყდა ციანიდის საქმე და მასთან დაკავშირებული სკანდალები.

ხალხს აღარც მამა გიორგი მამალაძე ახსოვს, რომელიც უკვე ორ წელზე მეტია საპატიმროშია. მის მიმართ ინტერესი რამდენიმე კვირის წინ გამოიჩინეს მხოლოდ. ეს მაშინ მოხდა, როცა გაირკვა, რომ დეკანოზს ინსულტი დაემართა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი სასულიერო პირი ციხიდან ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. რამდენიმე დღეში კი ისევ ციხეში დააბრუნეს. არადა მამაოს მდგომარეობა ისევ მძიმე იყო – მას მეტყველება უჭირდა და მარჯვენა ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდა.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღემდე არ გაუმჯობესებულა. ამასთან დაკავშირებით განცხადება სახალხო დამცველმა გააკეთა.

ნინო ლომჯარიას განცხადებით, დაქირავებული ექსპერტების შეფასებით, დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია.

მისივე თქმით, სასჯელაღსრულების მე-18 დაწესებულებაში სასულიერო პირს სათანადო მკურნალობას არ უტარებენ.

ლომჯარიას თქმით, მისმა აპარატმა დეკანოზის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის რეკომენდაცია გასცა:

– სახალხო დამცველთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში ჩავრთეთ ორი დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი. მათ შეისწავლეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე დოკუმენტაცია და მამა გიორგი მამალაძე ადგილზე მოინახულეს, როგორ უტარდება მას მკურნალობა.

ექსპერტებმა გასცეს დასკვნა და ამ დასკვნის საფუძველზე მათ განაცხადეს, რომ ადგილზე, მე-18 დაწესებულებაში არ უტარდება ის სამედიცინო დახმარება, რაც მას მისი დიაგნოზიდან გამომდინარე სჭირდება. მათი დასკვნის საფუძველზე სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, ის გადაიყვანონ სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში. მდგომარეობა შეფასებულია, როგორც რთული, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

მამა გიორგისთან დაკავშირებით კიდევ უფრო სკანდალურ განცხადებას ავრცელებს მისი ადვოკატი, მიხეილ რამიშვილი.

ადვოკატი და პოლიტიკური პარტიის „კანონი და სამართალი“ აღმასრულებელი მდივანი მიხეილ რამიშვილი არ გამორიცხავს, რომ დეკანოზის ინსულტი ხელოვნურად გამოეწვიათ.

მედიასთან საუბარში ამბობს, რომ მამა გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მიხეილ რამიშვილის განცხადებით, თუ დეკანოზი საპატიმროში დარჩება, შესაძლოა, ფატალური შედეგი დადგეს.

– თავიდანვე ვამბობდი, რომ ეს კითხვის ნიშნები რადგანაც არსებობს, სხვა პირობებში უნდა იყოს იმიტომ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება, ყველაფერი ეს ფატალურ შედეგამდე მივიდეს. მიუხედავად ამისა, მოგეხსენებათ, როგორ იძულებით, მოტაცებით გადმოიყვანეს კლინიკიდან მე-18 პენიტენციურ დაწესებულებაში და მათი მხრიდან იყო იმის ახსნა, რომ თურმე, სახელმწიფოს არ გააჩნია იმხელა შემოსავალი ბიუჯეტში, რომ აღნიშნული მდგომარეობა ყოფილიყო სამოქალაქო სექტორში, ანუ საავადმყოფოში.

რეკომენდაცია უკვე სავალდებულოა მათთვის, რომ კეთილი, ინებონ და მამა გიორგის ყველანაირი პირობა შეუქმნან და გადაიყვანონ ქალაქში, რომელიმე კლინიკაში. თავიდანვე ვაცხადებდი, რომ ეს ჩემთვის დიდი კითხვის ნიშანი არის, რამდენად ბუნებრივი იყო ინსულტი. ყველაფერი შესაძლებელია, მე დასაბუთებული ვარაუდი მაქვს, არ ვამტკიცებ, მაგრამ დასაშვები და შესაძლებელია, – ამბობს რამიშვილი.

დეკანოზი მოინახულა მისმა ძმამ თორნიკე მამალაძემ. მისი თქმით, მამაო ძალიან ცუდად არის და მას გადაადგილებაც კი არ შეუძლია.

„ფეოდალი პარაზიტები მაჟორიტარების სახით უნდა ჩამოვაშოროთ მმართველობას“

„სამოქალაქო მოძრაობა“ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმების შესახებ შეთანხმებას უერთდება და დღეიდან საქართველოს მასშტაბით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

აღნიშნული ინიციატივა ალექსანდრე ელისაშვილმა და ლევან იოსელიანმა გუნდის სხვა წევრებთან ერთად, მოსახლეობას გლდანის მეტროსთან გააცნეს. მათ ხელმოწერების შეგროვებაც სწორედ ამ ლოკაციიდან დაიწყეს:

– ეს ქვეყანა ვერ ვითარდება და ვერ მიდის წინ იმიტომ, რომ პარლამენტში არიან ფეოდალი პარაზიტები მაჟორიტარების სახით მოკალათებული, რომელიც უკვე 25-30 წელია პარლამენტში არიან და მთავრობიდან მთავრობისკენ გადადიან. ისინი აფერხებენ ქვეყნის განვითარებას და ეს პარაზიტები უნდა ჩამოვაშოროთ მმართველობის სისტემას, ანუ ეს სისტემა გავაუქმოთ. ამისთვის ვაგროვებთ ხელმოწერებს, – განაცხადა ელისაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარეობიდან გადაყენების შემდეგ ჩაჩანიძეს საკრებულოსაც ატოვებინებენ

ბორჯომის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, ზაზა ჩაჩანიძეს, რომელიც იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენეს, ერთ თვეში დეპუტატის უფლებამოსილებასაც შეუწყვეტენ. მიზეზი სხდომების ხშირი გაცდენაა.

ოფიციალური ინფორმაციით, 2018 წლის განმავლობაში ბორჯომის საკრებულოში სულ 17 რიგგარეშე და გეგმური სხდომა ჩატარდა და აქედან ჩაჩანიძე მხოლოდ სამს დაესწრო. ჩაჩანიძე 2018 წლის თებერვლის შემდეგ საკრებულოს სხდომებზე აღარ გამოცხადებულა, მარტიდან კი ბიუროს სხდომებსაც არ დასწრებია.

– რეგლამენტით გათვალისწინებული ექვსი თვე რომ გავიდა და საკრებულოს მუშაობაში არ იღებდა მონაწილეობას, წერილი გავუგზავნეთ, რომ აეხსნა, რატომ აცდენდა სხდომებს და ჰქონდა თუ არა საპატიო მიზეზი, თუმცა პასუხი დათქმულ ვადებში არ გაგვცა, დავიწყეთ შესაბამისი პროცედურები, – განაცხადა ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გოგიჩაიშვილმა.

მისი თქმით, პროცედურები დაახლოებით ერთ თვეში დასრულდება და ცესკო პარტიული სიის მიხედვით ახალ დეპუტატს წარადგენს საკრებულოში.

გია ხუხაშვილი: „პრეზიდენტი კახური სიჯიუტით თავისას აგრძელებს, რაც საბოტაჟის ხასიათს ატარებს“

იაგო ნაცვლიშვილი

ხმაურიანი გამოდგა საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ქართული მედიისთვის მიცემული პირველი ინტერვიუ. მან გაიმეორა ის რიტორიკა, რითაც მისი განცხადებები გაჯერებული იყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს. განცხადება, თითქოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ცხინვალი საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაბომბა, კიდევ ერთხელ გაიმეორა. პრეზიდენტმა, ერთი მხრივ, რუსეთის აგრესიაზე ისაუბრა, ხოლო მეორე მხრივ, ომის დაწყებაში პრაქტიკულად საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი დაადანაშაულა. ამასთანავე მან ყველას პროტოკოლის დაცვისკენ მოუწოდა და თქვა, რომ პრეზიდენტი სატელევიზიო სტუდიაში არ უნდა დადიოდეს.

პრეზიდენტის ინტერვიუს გზავნილების შესახებ „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს. პრეზიდენტმა ინტერვიუ გადაცემა „რეაქციას“ მისცა, რომელიც ეთერში 19 მარტს გავიდა.

„პრეზიდენტი ეტიკეტზე სხვას ელაპარაკება და თვითონ პიანისტს პირდაპირ ეთერში უვარდება“

– შეაფასეთ პრეზიდენტის ინტერვიუ. კიდევ ერთხელ მოვისმინეთ მისგან ის რიტორიკა, რასაც აგვისტოს ომზე წინასაარჩევნო პერიოდში ამბობდა, რომ ცხინვალი მიხეილ სააკაშვილმა დაბომბა. რა გზავნილი იყო პრეზიდენტისგან?

– იცით რა არის? როგორც იტყვიან, კახური სიჯიუტით ის თავისას აგრძელებს. არ ვიცი, რა ლოგიკა ვუწოდო ამას, რა ლოგიკითაც ის აზრის ჩამოყალიბებას ცდილობს. შეიძლება სამზარეულოში ამაზე იყოს დისკუსიები, მაგრამ პრეზიდენტის რანგში ასეთი განცხადებების გაკეთება, ეს უკვე საბოტაჟის ხასიათს ატარებს, ასეთია ჩემი აზრი.

ერთი მხრივ ის ამბობს, რომ რუსეთი აგრესორია, მაგრამ ამასთანავე ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაბომბა ცხინვალი. როგორ შეიძლება ადამიანი ვერ მიხვდეს, რომ როდესაც შენ ამას ამბობ, ამით რუსეთს უქმნი ალიბს. მას აძლევ აბსოლუტურ მოტივს იმის მტკიცების, რატომ გადაკვეთეს საზღვარი და რა იყო მისი ამოცანა. ასე რომ ვთქვათ, მოსახლეობის დაცვა, ასე იქნება გამოყენებული. ასეთ მარტივ ორსვლიან კონსტრუქციას რატომ ვერ აგებს ადამიანი თუ შეგნებულად არ აგებს, ეს ჩემთვის გაუგებარია. ეს მხოლოდ განწყობების თემა არ არის.

იმიტომ, რომ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები საერთაშორისო სასამართლოებში. ბუნებრივია, მისი ეს რიტორიკა პირდაპირი არგუმენტია რუსი ადვოკატების ხელში. მათ არ სჭირდებათ სხვა არგუმენტი. როცა ჩვენი მხრიდან იქნება სხვა პრეტენზიები, მათ შეუძლიათ თქვან, რომ საქართველოს პრეზიდენტი ლაპარაკობს, ჩვენ რა შუაში ვართო.

– ის რა რიტორიკა იყო მისი მხრიდან, როდესაც ის საუბრობს, რომ ეს საკითხები ქვეყნის შიგნით უნდა განვიხილოთო და ამ დროს სატელევიზიო ინტერვიუში ამბობს ამას?

– დიდი ბოდიში, მაგრამ ეს ხომ აბსურდია?! რომელ სამყაროში ცხოვრობს?! კი ბატონო, შიგნით განვიხილოთ, მაგრამ ეს ხომ სიბრიყვეა, როდესაც შიგნით განსახილველ საკითხებზე პრეზიდენტი საჯარო განცხადებას აკეთებს?! ამ საჯარო განცხადებას მარტო ჩვენ კი არ ვისმენთ, ისინიც ისმენენ და თან იწერენ ამას.

– ზუსტად მაგიტომ ვსვამ ამ შეკითხვას.

– როგორ შეიძლება გამიჯნოს ინფორმაციის გავრცელება შიდა მოხმარებისთვის და გარე მოხმარებისთვის?! რომელ საუკუნეში ცხოვრობს?! გაუგებარია. პრეზიდენტის სიტყვას მთელი მსოფლიო ისმენს და უყურებს და ვისაც სჭირდება, მას თავის სასარგებლოდ იყენებს. 2-ჯერ 2 ოთხი რომ არის, ამის ახსნა უნდა სჭირდებოდეს პრეზიდენტს?! ასაკოვანი ქალბატონია უკვე, პატარა გოგო ხომ აღარ არის?!

– ბოლომდე ვერ გაითავისა, რომ პრეზიდენტია? ასეთი შთაბეჭდილებაც ხომ არ დაგრჩათ?

– არ ვიცი, რა გაითავისა და რას თამაშობს. ეს ჩემი საქმე არ არის. ამაზე რა შეფასება უნდა გავაკეთო?! ფაქტია, რომ ლოგიკასთან, როგორც მინიმუმ, მწყრალად არის, ეს უკვე აბსოლუტურად ცხადია. გარდა ამისა, ის ლაპარაკობდა ეტიკეტის ნორმებზე.

– ამაზე მაქვს შემდეგი კითხვა. ეს რას ნიშნავდა?

– ეტიკეტზე სხვას ელაპარაკება და თვითონ ამ დროს პიანისტს პირდაპირ ეთერში უვარდება ზარებით. რომელ ეტიკეტზეა საუბარი. რა ჭკუას გვასწავლის ეს ადამიანი, რა ეტიკეტზე გველაპარაკება. მაგალითად, დრესკოდი ეტიკეტის ნაწილია. დახედოს სურათს, როგორ დგანან წითელ ხალიჩაზე თვითონ და დალია გრიბაუსკაიტე, კონტრასტს ვერ ხედავს?! ეს ადამიანი უნდა გვასწავლიდეს ეტიკეტს?! საერთოდ რაზე საუბრობს?!

– მისი ახსნა თუ იყო დამაჯერებელი, როდესაც თქვა, გამაფრთხილეს, რომ სიცივე იქნებოდაო?

– რა დამაჯერებელი, ცხოველების დაცვაზე გააკეთა აქცენტი. რა შუაშია აქ ცხოველების დაცვა? აქ იმაზე კი არ არის საუბარი, შუბა ეცვა თუ პალტო, არამედ საუბარია იმაზე, ესთეტიკურად როგორ გამოიყურებოდა მთლიანობაში და ორი ქალბატონის ჩაცმულობაში რა კონტრასტი იყო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დრესკოდი ეტიკეტის განუყოფელი ნაწილია. ამ სურათს ვინც შეხედავს, გაეცინება, მით უმეტეს, როცა ეს ადამიანი ჩვენი ეტიკეტის რაღაც ნორმებს გვასწავლის.

– დაიწყო პროტოკოლზე საუბარი, რომ თურმე პრეზიდენტი არ უნდა დადიოდეს სტუდიაში. ეს სადმე, რომელიმე პროტოკოლის წესებში წერია?

– რა პროტოკოლში უნდა ეწეროს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პირდაპირ ეთერში შეუვარდა პიანისტს ინტერვიუს დროს. რომელ პროტოკოლში წერია, რომ ინტერვიუს დროს პრეზიდენტი ვიღაცას ინტერვიუში უნდა შეუვარდეს?!

– ხატია ბუნიათაშვილთან მის ზარს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. რომელ პროტოკოლში წერია. რა შუაშია აქ პროტოკოლი?! ან უცხოეთში როცაა და ინტერვიუს აძლევს, როგორ ეუბნება, წავიდეთ და პრეზიდენტის, ჩემს სასახლეში უნდა მოგცეთ ინტერვიუ, ისე არ მოგცემთო თუ რანაირად აკეთებს?! აბსოლუტურად გაუგებარია. მის განცხადებებში რაიმე ლოგიკის დანახვა წარმოუდგენელია.

– რაც შეეხება ოკუპაციის თემაზე მის განცხადებებს, ეს სწორი იყო?

– კი. როდესაც ის საუბრობს რუსეთის აგრესიასა და ოკუპაციაზე, თითქოს ადეკვატურია ეს ადამიანი, მაგრამ ამასთანავე როცა ამბობს, რომ ჩვენ დავბომბეთ ცხინვალი და ამით შევუქმენით რუსეთს საფუძველი, რომ საზღვარი გადმოეკვეთა, ეს რას ნიშნავს?! მეორე ნაწილს კი აღარ ამბობს, რაც მე გითხარით, მაგრამ ეს უკვე იგულისხმება. შენ თუ მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავ, ამით შეიძლება ვიღაცას შეექმნას ლეგიტიმური საფუძველი, მოსახლეობის დაცვის მიზნით საზღვარი გადმოკვეთოს. ასეთ უნივერსალურ არგუმენტს აძლევს რუსეთს ჰააგაში, სტრასბურში თუ სხვაგან. სხვადასხვა სასამართლო დავებში.

– მისი თავშეკავება სხვადასხვა საკითხებზე როგორ აიხსნება?

– თავშეკავებაა თუ რაც არის, ეგ არის რაც არის. შეიძლება რაღაცა მომეწონოს მის გამოსვლაში ემოციურად, მაგრამ სხვა განცხადებებით ყველაფერს აუფასურებს.

– თავშეკავებაში იმას ვგულისხმობ, რომ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე არ გამოთქვამს პოზიციებს. იგივე სასამართლოს თემაზე და ა. შ.

– ის ეძებს საკუთარ კომფორტს. ამით არაფერი ზიანდება განსაკუთრებულად. არ უნდა რამეზე კომენტარის გაკეთება? ნუ გააკეთებს. ამას ვერ გადავყვებით, თუმცა, გაუგებარია. ამბობს, რომ სახელმწიფოს მეთაურია და თურმე სტუდიაში ვერ მივა. იმიტომ, რომ არ ეკადრება, მეორე მხრივ ამბობს, რომ რაც მისთვის არაკომფორტულია, ეს მე არ მეხება და მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებო. თვითონ საპრეზიდენტო არჩევნებზე თუ გააკეთებს კომენტარს, როგორ მიდიოდა კამპანია და რის ფასად. რა დაუჯდა „ქართულ ოცნებას“ მისი გაპრეზიდენტება?! არ რცხვენია ამისი?! თუ ესეც არ არის მისი საქმე?!

– აღიარა დარღვევები, მაგრამ თქვა, რომ არ იყო იმ ტიპის დარღვევა, რომ ლეგიტიმურობა ეჭქვეშ დადგესო.

– რა არ იყო?! ჩვენ ამაზე ლაპარაკი არ გვინდა და ამას გავანებოთ თავი, მაგრამ მისი ლეგიტიმურობა ეჭქვეშ რომ დგას, ამას ვერ ხვდება?! ისე რომ უნდა იქცეოდეს, რომ ადამიანებთან კომუნიკაცია ჰქონდეს და არა ჭკუის მასწავლებლის როლში გამოდიოდეს, ეტიკეტს გვასწავლიდეს აბსოლუტურად უადგილოდ, ეს არის სწორი?!

რა გამოდის, მარგველაშვილი სტუდიაში რომ დადიოდა, ეტიკეტს არღვევდა?! იმან არ იცოდა და ქალბატონმა სალომემ კარგად იცის. მაშინ უცხოეთშიც რომ მიდის, არც იმათ არ მისცეს ინტერვიუ და თავის სასახლეში დაპატიჟოს და მარტო იქ ელაპარაკოს.

„ოცნებას“ ვატო შაქარაშვილიც დაუპირისპირდა

რამ აღაშფოთა თბილისის საკრებულოს დეპუტატი

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ აშკარად მძიმე პროცესები მიდის. პარტიას ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ პარლამენტის წევრები. მმართველ გუნდს დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატი ვატო შაქარაშვილიც დაუპირისპირდა.

არადა ეს უკანასკნელი ერმა ნაციონალების გმობით და „ოცნების“ მგზნებარე ქებით გაიცნო. ახლა კი თავისი გუნდისგან იმედ და ოცნებაგაცრუებულია.

მეოცნებეს იმედები „ოცნების“ პოლიტიკამ გაუცრუა. მოსამართლეებთან დაკავშირებულმა სკანდალმა ისიც აღაშფოთა. აღშფოთებულმა შაქარაშვილმა ვრცელი განცხადება გააშანშალა.

– სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე, მაგრამ მოდით ერთად ვნახოთ – რა შევუკვეთეთ (2012 წელს) და რა ჩამოვიდა?

პირველი მოსმენით მოწონებული (კობახიძის კაბინეტის) კანონპროექტით უზენაეს სასამართლოში მოსახვედრად აუცილებელი კრიტერიუმი „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის ზონდერობა აღმოჩნდა, აი, ვნახოთ – უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი შეიძლება იყოს მხოლოდ: მოქმედი მოსამართლე, რომელსაც აქვს 5-წლიანი გამოცდილება (მეთოფიშვილების დანიშნული); ყოფილი მოსამართლე, რომელსაც აქვს 5 წლიანი გამოცდილება და მოსამართლეობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არ არის გასული 10 წელი (ეს პერიოდი კი მოიცავს სააკაშვილის მმართველობას).

უზენაესის მოსამართლეები კვლავ თავისუფლად შეიძლება გახდნენ გვრიტიშვილი, ჩინჩალაძე, მიქაუტაძე და მეთოფიშვილი – პროექტის მიხედვით, საბჭოს წევრი შესაძლოა იყოს მოსამართლეობის კანდიდატი, მხოლოდ ის კენჭისყრის დროს საკუთარ თავს ხმას ვერ მისცემს.

მეთოფიშვილების შერჩეულ კანდიდატებზე ინფორმაცია კონფიდენციალურია და მეთოფიშვილებსვე აქვთ ექსკლუზიური წვდომა – 34 (2) მუხლის მე-3, მე-4 ნაწილებით ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურად ცხადდება და მხოლოდ იუსტიციის საბჭოს წევრებს უნდა წარედგინოს. ამავე მუხლის მეათე ნაწილით დალუქული ინახება 3 წლის განმავლობაში, – აღნიშნავს შაქარაშვილი.

მისი თქმით, ამ ყველაფრის ფონზე, ვერავის სთხოვენ, ენდოს მოსამართლეებს, რომლებსაც მოცემული კრიტერიუმებით, ერთი მხრივ, არჩევს საყოველთაოდ დისკრედიტირებული იუსტიციის საბჭო, მეორე მხრივ კი, კენჭს უყრის უმრავლესობა, რომლის მიმართაც ყოველდღიურად იკლებს ნდობა.

შაქარაშვილს არ სჯერა, რომ მოსამართლეები, რომლებიც ადრე ცუდ საქმეებს აკეთებდნენ, „ოცნების“ მოსვლის შემდეგ გაკარგდნენ.

– რადგან დღეს, კიდევ ერთხელ შემოგვთავაზეს ლოგიკა ცუდების გაკარგებაზე, ამ თეზისის ავტორს კიდევ ერთხელ ვეტყვი, რომ მოსამართლის ქცევას არ განსაზღვრავს სისტემა! მოსამართლის ქცევა ეფუძნება შინაგან რწმენას, მორალს, კეთილსინდისიერებას და კანონს!

მოსამართლის პროფესია, ყველა სხვა პროფესიასთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად არის სისტემაზე დამოკიდებული და ყველაზე მეტად არის ინდივიდუალური.

მურუსიძე ყოველთვის მურუსიძე იქნება და მეთოფიშვილი ყოველთვის მეთოფიშვილი... სინდისი ან გაქვს, ან არ გაქვს, ის არც ისწავლება, არც იშოვება, – ამბობს თბილისის საკრებულოს დეპუტატი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავჭალაში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა — დაკავებულია 2 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა ავჭალაში, ერთ-ერთ მარკეტში მომხდარი ყაჩაღობა გახსნეს. დაკავებულია 2 პირი: 1998 წელს დაბადებული გ.ბ. და 1998 წელს დაბადებული გ.ა.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებებით დადგინდა, რომ ნიღბიანი და ცივი იარაღით შეიარაღებული პირები 20 მარტს, ღამით, ავჭალაში, ლიბანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მარკეტში შეიჭრნენ, გამყიდველებს დაემუქრნენ და თანხა მოსთხოვეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩამდენი პირების ვინაობა მომხდარიდან რამდენიმე საათში დაადგინა და ისინი ბრალდებულის სახით დააკავა.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„ნომერში შემოვარდნენ სამხედროები და ცემა დამიწყეს“

როგორ გაიტაცეს მაქსიმ იაკოვლევი აფხაზეთის სასტუმროდან

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მძევლად მყოფი რუსი ბიზნესმენი მაქსიმ იაკოვლევი ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა გამოიხსნა. დღეს ტყვეობაში ნამყოფი თვითონ ალაპარაკდა და თავის გახმაურებულ ისტორიაზე თავის მიმართვაში ისაუბრა.

მას რამზან კადიროვის გვარი არ უხსენებია.

სს „კიროვის ქარხნის“ აქციონერი და კომპანია „პოლიგრაფოფორმლენიეს“ გენერალური დირექტორი მაქსიმ იაკოვლევი ახალი ათონის სასტუმროს ნომრიდან 2018 წლის 20 ივნისს გაიტაცეს. შემოდგომამდე იგი მძევლობაში იმყოფებოდა. გატაცებულს ჯერ 200 მილიონ რუბლს სძალავდნენ, შემდეგ კი – 10 მილიონს.

ბიზნესმენი თავად იხსენებს, რომ იმ დღეს მასთან სასტუმროს ნომერში შეიჭრნენ შეიარაღებული პირები სამხედრო ფორმაში და დაიძახეს მისი გვარი და სახელი, ასევე ახსენეს ფსბ. მას იარაღი მიუშვირეს, დაადეს ხელბორკილები, თავზე კი ტომარა ჩამოაცვეს, თან სცემდნენ და ახრჩობდნენ. მოგვიანებით გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ყოფილი მძევალი განმარტავს, რომ აფხაზეთში სიტუაციის შესასწავლად ჩავიდა. მას დაგეგმილი ჰქონდა იქ საცხოვრებლად გადმოსვლა.

ბიზნესმენი არ აკონკრეტებს მძევლობის დეტალებს. იგი მადლობას უხდის მათ, ვინც მის გათავისუფლებაში მონაწილეობდა. იაკოვლევი ახსენებს თავისი მეგობრისა და პარტნიორის, მუსა ეკზეკოვის, სანკტ-პეტერბურგის აფხაზური დიასპორის, ასევე პეტერბურგისა და აფხაზეთის რეგიონის სამართალდამცავების წვლილს მის გამოხსნაში. მათი მოქმედებების შედეგად აფხაზეთის უშიშროების სამსახურმა ფიზიკურად გამოფიტული იაკოვლევი ტყის პირას ნახა, შემდეგ სოჭის აეროპორტამდე მიიყვანა და პეტერბურგში გაამგზავრა.

გატაცებაზე ბიზნესმენი მეტს არაფერს ამბობს. მისივე თქმით, მას ინტერპოლი ტყუილად ეძებდა. მას შეუთითხნეს ბრალდება და დააბრალეს, რომ 8 წლის წინ ყირგიზეთში შეიარაღებული რაზმის დახმარებით დაიკავა ერთი შენობა. მისი სიმართლე ყირგიზეთის სასამართლოს გადაწყვეტილებებმა დაადასტურა.

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთიდან დროებით ან სამუდამოდ ჩამოსული საქმიანი წრეების დაყაჩაღება, გატაცება, გაქურდვა და მკვლელობა არც ისე იშვიათი მოვლენაა.

დანაშაულის მსხვერპლი რუსი ტურისტებიც ხდებიან. ამაზე გამაფრთხილებელი განცხადება ორი წლის წინ როსტურიზმმაც გააკეთა.

მიუხედავად ამისა, რუსი დამსვენებლები საქართველოს ამ რეგიონს მაინც სტუმრობენ. ამ დღეებში მოსკოვის ტრადიციულ ტურისტულ გამოფენაზე მეოთხედ იმყოფებოდნენ ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლები.

– ჩვენთან ცუდი რომ იყოს, ტურისტები არ ჩამოვიდოდნენ, – აცხადებს აფხაზეთის დეფაქტო კურორტებისა და ტურიზმის მინისტრი ავთანდილ გარცკია.

აფხაზეთმა გამოფენაზე წარმოადგინა ინტერაქტიული რუკა ინგლისურ, რუსულ და აფხაზურ ენებზე.

აფხაზური დელეგაცია ირწმუნება, რომ აფხაზეთით დაინტერესდნენ ახალი დამსვენებლები, ასევე ინვესტორები, რომლებიც მზად არიან, ითანამშრომლონ აფხაზეთის სასტუმროებთან და მათ საკუთარი სერვისები მიაწოდონ. გამოფენაში 40 ქვეყანა მონაწილეობდა. დელეგაცია შეეცადა, წარმოედგინა არა მხოლოდ ტურისტული პოტენციალი, არამედ, ეკონომიკური და საინვესტიციო შესაძლებლობები.

წესით, ოკუპირებული აფხაზეთი ინვესტორებისთვის საშიშ ადგილად უნდა ითვლებოდეს. იქ არ არის დაცული მათი სიცოცხლე. აფხაზეთის ვითარებაში ჩახედულმა რუსმა ბიზნესმენებმა ისიც იციან, რომ აფხაზეთში საფინანსო და საკანონმდებლო არეულ-დარეულობაა, რაც აზიანებს ეკონომიკურ და საინვესტიციო გარემოს.

აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატები აღიარებენ, რომ აფხაზეთში შექმნილ ტოქსიკურ გარემოს გამძლე და უკანონობას მიჩვეული რუსი ბიზნესიც ვერ უძლებს.

მთაწმინდაზე პარლამენტის შუალედური არჩევნები 31 უბანზე გაიმართება

– მთაწმინდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნები 2019 წლის 19 მაისს, 31 საარჩევნო უბანზე გაიმართება, სადაც საერთო ჯამში, რეგისტრირებულია 43.868 ამომრჩეველი, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ცესკოს პრესსპიკერმა ანა მიქელაძემ განუცხადა.

მისი განმარტებით, 20 მარტის სხდომაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განსაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა და ვადები არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის. მათ შორის, საინიციატივო ჯგუფებისთვის და დაადგინა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარსადგენი კანდიდატისთვის საჭირო ხელმოწერების მინიმალური ოდენობა.

– მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენა უნდა იყოს დადასტურებული არანაკლებ 439 ამომრჩევლის ხელმოწერით, რაც არის მთაწმინდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების 1%, – განაცხადა მიქელაძემ.

გარდა ამისა, პრესსპიკერის განმატებით, სხდომაზე ასევე განისაზღვრა მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის და საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის ზოგიერთი პროცედურა და ასევე ახალი ვადები.

– მოგეხსენებათ, რომ კანონმდებლობის მიხედვით ორივე არჩევნები ასევე უნდა გაიმართოს მაისის თვეში, თუმცა მათი დანიშვნის თარიღი და შესაბამისი ვადები არის განსხვავებული. ამიტომ, საარჩევნო ადმინისტრაციამ განსაზღვრა და ასევე გეგმავს, რომ ეს ორი არჩევნები ჩატარდეს ზუსტად იმ დროს, როდესაც ტარდება საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები, ანუ 19 მაისს. შესაბამისად, ვადების სრული დაცვით იქნება ეს ორი არჩევნები დანიშნული, – განაცხადა ანა მიქელაძემ.

რაც შეეხება მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების დანიშვნის პროცედურას, ანა მიქელაძის თქმით, უნდა აღინიშნოს, რომ დღეიდან დაიწყო ყველა ის საკანონმდებლო მოთხოვნა და პროცედურა, ასევე დაშვებები და აკრძალვები, რაც უშუალოდ დაკავშირებულია არჩევნების დანიშვნასთან.

მისივე განმარტებით, დღეიდან ამოქმედდა ის მუხლები, რაც დაკავშირებულია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებასთან. გარდა ამისა, დღეიდან ამოქმედდა ის ნორმები, რაც უკავშირდება სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების, ასევე თანამდებობრივი თუ სამსახურებრივი მდგომარეობის აკრძალვას.

– ამასთან, აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უკვე დღეიდან პოლიტიკურ პარტიას ან საინიციატივო ჯგუფს შეუძლია განცხადებით მიმართოს ცესკო-ს თავმჯდომარეს რეგისტრაციის გავლის მიზნით. მიმართვის ბოლო ვადა არის 23 მარტი.

გარდა ამისა, დღეიდან მედიასაშუალებებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, აკრედიტაციის გავლის მიზნით მიმართონ შესაბამის საარჩევნო ადმინისტრაციას, – განაცხადა ანა მიქელაძემ. **ინტერპრესნიუსი**

კახა კოჟორიძე: „კობახიძის კანონპროექტი კლანს კიდევ უფრო გააძლიერებს“

ნონა ცაბაძე

როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტმა მოსამართლეების არჩევის წესთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძის მიერ მომზადებულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. ოპოზიცია, მესამე სექტორი და საზოგადოების ნაწილი აღნიშნულ კანონპროექტს უარყოფითად აფასებს. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურისტს, უფლებადამცველ კახა კოჟორიძეს ესაუბრა.

– ბატონო კახა, პარლამენტმა ირაკლი კობახიძის მიერ ინიცირებული კანონპროექტი პირველი მოსმენით 89 ხმით მიიღო. გაქვთ განწყობა, რომ რაიმე უკეთესობისკენ შეიცვლება?

– მაგ კანონპროექტით არანაირი სასიკეთო ცვლილებების მოლოდინი არ არსებობს და გამორიცხულია, რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოს. პირიქით, ეგ კანონპროექტი სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ აქამდე თუ საზოგადოებისთვის მიუღებელი მეთოდებით ცდილობდა ის კლანი თავისი წევრების უზენაეს სასამართლოში გაყვანას, ახლა ეს კანონპროექტი მაშველი რგოლია კლანისთვის, რომ როგორღაც ლამაზი შეფუთვა გაუკეთონ ამ საბჭოს ადრინდელ გადაწყვეტილებას და საბჭოს სურვილებს.

კობახიძის კანონპროექტის მიზანი არ არის ის, რომ კეთილსინდისიერი ადამიანების უზენაეს სასამართლოში შეყვანა უზრუნველყოს.

– რა არის მიზანი?

– ამ კანონპროექტის მიზანი არის ის, რომ უზრუნველყოს კლანის და მისი გავლენის აგენტების, უზენაეს სასამართლოში უვადოდ დანიშვნა. ოღონდ ამას მისცეს ისეთი შეფერილობა, ისეთი ფორმა, რომ საზოგადოების აღშფოთება არ გამოიწვიოს. შინაარსი იქნება იგივე, რაც აქამდე გაუკეთებიათ მათ, უბრალოდ, ლამაზად შეფუთავენ. პროდუქტი, რომელიც არავის არ მოსწონს, ლამაზ ბრჭყვიალა ქაღალდში რომ გავახვიოთ, აი ეგ ხდება.

აქამდე თუ ფურცლის ნაგლეჯზე იყო ჩამოწერილი 10-კაციანი სია, ახლა ამას უფრო დახვეწილი ფორმა ექნება. თუმცა შინაარსი აბსოლუტურად არ იცვლება, ეს ცალსახაა.

– აბსოლუტურად არაფერი?

– არა და ეს ძალიან მარტივი დასანახია. ვინც ეს თემა იცის და ვისაც ამ პროცესებთან შეხება ჰქონია, ყველა ერთ აზრზეა, მათ შორის მეც.

ის საკითხი, რაც ახლა შემოიტანეს, გამოცდის ჩაბარება და ასე შემდეგ, რა უნდა იყოს წარმატებული იურისტისთვის ამ გამოცდის ჩაბარება? მაგრამ რა ფორმითაც ესენი აკეთებენ, ეს არის სწორედ გაფილტვრა ისეთი კანდიდატების, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ სურვილი პროცესში მონაწილეობის, მაგრამ აქამდე არასოდეს გასჩენიათ სურვილი მოსამართლის გამოცდის ჩაბარების.

რატომ უნდა ჰქონოდა რომელიმე წარმატებულ ადვოკატს სურვილი მოსამართლის გამოცდის ჩაბარების? იმ სიტუაციაში, როცა ამ გამოცდის შედეგებს აფასებენ ისევ კლანის წევრები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები.

– ჩავარდა ბესელიას მიერ ინიცირებული კანონპროექტი.

– დიახ, როგორც კი დაიწყო საუბარი იმაზე, რომ აი ეს ფურცლის ნაგლეჯზე დაწერილი სია არ მოგვწონს და ჩვენ დავიწყებთ ახალი კანონპროექტის შექმნას, მაშინვე განვაცხადე, რომ სანამ ეს კლანი იარსებებს, ყველა კანონპროექტს აზრი ეკარგება. მით უმეტეს, იმ მიმართულებით მუშაობას ეკარგება აზრი, რაც თავიდან დაანონსდა და ეს მიზნად ისახავდა კლანის წევრების და მათი გავლენის საკითხების გატანას. ამ კანონპროექტს მხოლოდ ეს დანიშნულება აქვს.

ბესელიას კანონპროექტში არსი არის ის, რომ საბჭოს არ ჰქონდეს კარგი კანდიდატის დაბლოკვის ბერკეტები. საბჭო შინაარსში კი არ შევიდეს და ის კი არ თქვას, რომელიმე იურისტი გამორჩეულია ან არ არის გამორჩეული, მან კანონით გაწერილი კრიტერიუმები უნდა შეამოწმოს.

ამ საბჭოს პირობებში, მხოლოდ მაგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს იმისი უზრუნველყოფა, რომ კარგი კანდიდატები იქნენ დასახელებული. სხვა შემთხვევაში, საბჭოს როგორც კი შინაარსში შესვლის საშუალებას მივცემთ, როგორც აქამდე იქცეოდნენ ეს ადამიანები, ზუსტად ისევე მოიქცევიან.

– ნინო გვენეტაძის გადადგომის მიზეზებზე აქამდე ღიად არავინ საუბრობდა. დღეს უკვე ღიად ალაპარაკდნენ, რომ ის მსხვერპლია, კლანმა ლამის შეჭამა და იძულებული გახდა, წასულიყო. რას იტყვით თქვენ?

– ისეთი მახინჯი სასამართლო სისტემა შექმნეს ამ კლანმა და მისმა მხარდამჭერმა პოლიტიკოსებმა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მსხვერპლად იქცა ამ სისტემაში. ეს ჩემი სიტყვები არ არის, თავად გვენეტაძის სიტყვებია, რომ მე თავს ვგრძნობ მსხვერპლადო.

როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პრეზიდენტის მიერ დასახელებული და პარლამენტის მიერ არჩეული, სისტემაში მსხვერპლია, ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეს რა განცდა უნდა ჰქონდეს, როცა ამ სისტემაში მოხვდება?! აი, ასეთი მახინჯი სისტემა გვაქვს ჩვენ სამწუხაროდ და ამ სისტემის შეცვლა გვინდა.

– ნინო გვენეტაძის წასვლაზე რას იტყვით?

– არავის სჯერა იმის, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიიღო მან ეს გადაწყვეტილება. ასე რომ ყოფილიყო, სხვანაირი კომუნიკაცია შეიძლებოდა საზოგადოებასთან და ამის უფრო დამაჯერებლად ახსნა, მაგრამ მან ისე ჩუმად გააკეთა ეს განცხადება და ისე ჩუმად წავიდა, რომ ორი აზრი არ არის იმაში, რომ ის რაღაც გავლენების და ზეწოლის ქვეშ მოექცა.

– უფრო კონკრეტულად?

– მე ვერ ვიტყვი, უფრო კონკრეტულად რა შეიძლება იყოს ეს, მაგრამ ის, რომ ის საკუთარი ნებით არ მოქმედებდა და მოქმედებდა რაღაც გარკვეული გავლენების საფუძველზე, მისი მოქმედებიდან და განცხადებიდან ნათლად ჩანს.

მიუხედავად ყველა იმ შეცდომისა, რაც გვენეტაძემ დაუშვა და მან საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუშვა და არასწორი გადაწყვეტილებები მიიღო, ის მაინც არ გახდა კლანის წევრი და ეს ფაქტია.

თუმცა მას, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბევრად მეტი მოეთხოვებოდა და ის უნდა შებრძოლებოდა ამ კლანს და ამ ბრძოლის პროცესში მას უნდა უზრუნველეყო ის, რომ საზოგადოება დამდგარიყო მის გვერდით. მან ეს ვერ მოახერხა და, სამწუხაროდ, მივიღეთ ეს მოცემულობა.

– თუ ხედავთ ამ ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალს?

– ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ეს კლანი კიდევ უფრო გაძლიერდეს და უზენაესი სასამართლოც გააკონტროლოს. მეორე მხრივ, ეს ძალიან მძიმე მოცემულობა გამოიწვევს იმას, რომ საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები, იურისტები, პროფესიული ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, გაერთიანდნენ სამართლიანი სასამართლოს იდეისთვის.

ყველაფერ ცუდში არის კარგი და ამ პროცესში, რასაც ახლა ჩვენ თვალს ვადევნებთ, კარგი ის იქნება, რომ ეს გამოიწვევს ბუნებრივ გაერთიანებას. ეს პროცესი უკვე მიდის. საქართველოში დღეს არ არსებობს არცერთი ორგანიზაცია, დამოუკიდებელი იურისტი და ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, რომელსაც მოსწონდეს სასამართლოში არსებული სიტუაცია.

გაერთიანების პროცესი მიდის და ეს გაერთიანება შემდეგ შესაძლებელია, გამოიხატოს იმაში, როცა იქნება მომდევნო არჩევნები, ყველა პარტია შეთანხმდეს იმაზე, რომ კლანი ვისაც დანიშნავს ახლა, მათი უფლებამოსილება შეჩერდეს შემდეგ.

ეს არ იქნება მოვლენების განვითარების სასურველი სცენარი, მაგრამ თუ სხვა გზა არ დატოვეს, მაშინ საზოგადოება იძულებული გახდება, ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველო არ უნდა აღმოჩნდეს პოლიგონი ზესახელმწიფოების დაპირისპირებაში“

გულიკო ბალაძე

13-14 მარტს ქართველ ექსპერტთა ერთმა ჯგუფმა მოსკოვში ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში მოწყობილ მრგვალ მაგიდაში მიიღო მონაწილეობა. რა საკითხებზე ისაუბრეს ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა და რა პასუხები მიიღეს რუსი ექსპერტებისაგან ქართველებმა? – აღნიშნული შეხვედრის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა.

– როდესაც თქვენ მოსკოვში ბრძანდებოდით მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრაზე, ოფიციალურმა მოსკოვმა დიდი სირთულეები შეგვიქმნა საოკუპაციო ხაზებთან. ამგვარ ქმედებებზე რუსი ექსპერტები რას ამბობენ?

– აქ ძალიან მწვავედ დადგა ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხი, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში. სწორედ იმას გაესვა ხაზი, რომ მავთულხლართები და მავთულხლართების გადმოწევა და ახალ-ახალი საოკუპაციო საზღვრების შექმნა, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები ეწირებიან, არის საგანგაშო საკითხი, რომელსაც ჩვენ ვსვამდით დღის წესრიგში.

– რუსმა ექსპერტებმა რა გიპასუხეს?

– მათი პასუხები შემხვედრი იყო. ეს პრობლემები გულთან ახლოს მიიტანეს კოლეგა პროფესორებმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ვფიქრობ, დიალოგი უალტერნატივოა. საჭიროა რუსეთსა და საქართველოს შორის მაღალი დონის პირდაპირი პოლიტიკური პროცესის დაწყება.

სწორედ ასეთი პროცესის დაწყების საწინდრად შეიძლება ჩავთვალოთ ექსპერტულ დონეზე მრგვალი მაგიდის გამართვა და ამ პროცესში მეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეების, პოლიტოლოგების ჩართვა.

– მრგვალ მაგიდაზე თუ განიხილეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი?

– მთავარი საკითხი იყო საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებში შემავალი პროცესისადმი რუსული მხარის დამოკიდებულების ძიება. ეს საკითხი უკავშირდებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ვინაიდან ჩვენ, ქართული მხარე, მთლიანად ვთანხმდებით იმაში, რომ ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში წითელი ხაზები სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე გადის.

– არის თუ არა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების უკან წაღების შანსი? რუსი ექსპერტები ამ საკითხს როგორ განიხილავენ?

– რუსი ექსპერტები შესაძლებლად მიიჩნევენ, რომ კარასინ-აბაშიძის პრაღისა და ჟენევის ფორმატები, რომლებიც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ფორმალურად უნარჩუნებენ სახეს, აუცილებლად უნდა გადაიზარდოს პირდაპირ პოლიტიკურ დიალოგში. ამისთვის საჭიროა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე ფიქრი.

დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე ფიქრი დაკავშირებულია საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დღის წესრიგის გაჩენასთან. პოლიტიკურ დღის წესრიგში რამდენად იქნება შესაძლებელი ამ ტიპის მრგვალმა მაგიდებმა მონაწილეობა მიიღონ და გააჩინონ სამეცნიერო-თეორიული ბაზისი შემდგომი პრაქტიკული მოქმედებებისთვის, ეს დატვირთვა ჰქონდა ჩვენს მოსკოვში ჩასვლას.

მრგვალი მაგიდა არ შეეხებოდა პოლიტიკურად აქტუალური საკითხების განხილვას პოლიტიკურ დონეზე. ეს იყო მხოლოდ მეცნიერული ანალიზის გამოვლინება თეორიულ დონეზე.

– და მაინც, რა დასკვნა გამოიტანეთ, დღეს რუსეთი მზად არის, რომ ჩვენი ტერიტორიების აღიარება უკან წაიღოს?

– როგორც პოლიტიკოსმა და როგორც ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორმა, შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს მიმართ განწყობები აბსოლუტურად შეცვლილია, აბსოლუტურად გაცოცხლებულია მოედანი, რომელზეც შეიძლება განსახილველ საკითხთა შორის ახალ-ახალი საკითხების წარმოჩენა.

ეს არის რეალობა.

– პუტინი და მისი ჩინოვნიკები არა მგონია, მზად იყვნენ იმისთვის, რაზეც თქვენ საუბრობთ. კარასინი დაგვემუქრა, საქართველომ ან ნატო უნდა აირჩიოს, ან კავკასიაში სტაბილურობაო, ანუ კრემლი ულტიმატუმის ენით გველაპარაკება. ამ სიტუაციაში მრგვალ მაგიდას რაიმე როლის შესრულება შეუძლია, რომ რუსეთიდან ულტიმატუმის ენით აღარ იყოს საუბარი?

– პოლიტიკის ხელოვნებაა, უარესიდან უკეთესისკენ შეაბრუნოს. ბუნებრივია, რუსეთის ფედერაციას გააჩნდა, გააჩნია და მომავალშიც ექნება საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომლის დაცვა, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი არ აღმოჩნდეს მისი პოლიტიკური ინტერესების სასიცოცხლო ფუნქციის შემლახავი.

ჩვენ ვართ მეზობელი სახელმწიფოები, 600 კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლით. შესაბამისად, მათ აქვთ სასიცოცხლო ინტერესები 21-ე საუკუნეში, როდესაც მსოფლიო ბიპოლარულია, ანუ მხოლოდ ერთი სახელმწიფო აღარ განსაზღვრავს მსოფლიოს ბედს. ყველაფერი დაკავშირებულია პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრებთან, როგორებიცაა, ევროკავშირი, ევრო-ატლანტიკური სივრცე, დიდი ევრაზიული კავშირი.

ჩვენ ეს შესაძლებლობები საკუთარი ინტერესებისთვის უნდა გამოვიყენოთ. საქართველო იმყოფება დასავლური რაციონალიზმისა და აღმოსავლური სიბრძნის გზაჯვარედინზე, ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. ჩვენ უნდა შევასრულოთ ამ გზაჯვარედინზე დამაკავშირებელი და შემაკავშირებელი გზის მოვალეობა, რასაც პოლიტიკურ დონეზე აბრეშუმის გზა წარმოადგენს.

– თვითონ რუსეთი გვიზღუდავს სასიცოცხლო არეალებს და ფუნქციებს, როდესაც ჩვენს ტერიტორიაზე ორი ბაზა აშენა და ულტიმატუმის ენით გელაპარაკება, აქ უკვე ინტერესების დამთხვევაზე ლაპარაკიც არ არის. თქვენ მოგეცათ იმედი, რომ რუსეთი რამეში უკან დაიხევს?

– გამოვდივარ იმ კონკრეტული ფაქტებიდან, რასაც ადგილი აქვს რეგიონში. რუსეთისთვის დაცვის ბუფერი იყო სირია. აღმოსავლეთში რუსეთის მოქმედებები ძალიან კარგად აჩენს ამ სახელმწიფოს ინტერესების დაცვის პრაქტიკულ გაკვეთილებს.

როდესაც ნატოს წვრთნებთან დაკავშირებული რიტორიკა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან აჩენს შემხვედრ გზავნილებს, რომ რუსეთი დააკვირდება ამ პროცესს და თვითონაც მოახდენს ძალების მობილიზებას და სამხრეთის მიმართულებით გადმოსროლას, ეს მხოლოდ რიტორიკა აღარ არის. გარკვეული საფრთხეებისა და სიტუაციის ესკალაციის დასაწყისადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ შემთხვევაში ქართული პოლიტიკის ამოცანა უნდა იყოს ის, რომ საქართველო არ აღმოჩნდეს პოლიგონი ზესახელმწიფოების დაპირისპირებაში.

რამენაირად უნდა ავიცილოთ მათი შეჯახება.

თამაზ დოლაბერიძე: „არც ერთი მუშა სამუშაოზე თავის მოსაკლავად არ მიდის“

ლელა მდივანი

თბილისში, 16 მარტს, ორთაჭალის მშენებარე კორპუსიდან სამი მუშა გადმოვარდა. მათგან ერთი ადგილზე დაიღუპა, მეორე საავადმყოფოში გარდაიცვალა, მესამის მდგომარეობა კი მძიმეა.

როგორც „ახალ თაობას“ საქართველოს გაერთიანებულ პროფკავშირების გაერთიანებაში განუცხადეს, 2018 წლის განმავლობაში, სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 59 ადამიანი, ხოლო 199 დაშავდა.

2017 წელს გარდაცვლილია 47, ხოლო 106 – მძიმედ დაშავებული.

2016 წელს 58 ადამიანი გარდაიცვალა, 82 კი მძიმედ დაშავდა.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე თამაზ დოლაბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

– გვაქვს შრომის ინსპექტირების სისტემა, რომელიც დასაქმებულთა შრომითი უფლებების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას გულისხმობს, თუმცა მაინც ხდება ამდენი უბედური შემთხვევა. გამოდის, სათანადოდ ვერ ასრულებს თავის ფუნქციას?

– კი, ნამდვილად ასეა. ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. თუმცა, როგორი ძნელიც არ უნდა იყოს, შრომის დაცვის ინსპექცია ბევრს ვერ იზამს. ისეთი წარმოდგენა არ უნდა შეგვექმნას, რომ შრომითი რისკები იქნება 0-ზე დაბალი. ამისი პრეცედენტი არსად არ არის, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი შრომის ინსპექტირების ინსტიტუცია, არის აბსოლუტურად უეფექტო ამჟამად.

შრომითი რისკები შეიცავს რამდენიმე მიმართულებას. ერთი არის, რამდენად ზედმიწევნით არის დაცული სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების სტანდარტები და მეორე არის ადამიანური ფაქტორები: უყურადღებობა, სიჩქარე, ინდიფერენტული დამოკიდებულება და ა.შ. ეს ორივე ერთად ძალიან დიდ რისკებს ქმნის სამუშაო ადგილებზე აბსოლუტურად ყველგან.

– გამოდის, რომ ერთი კონკრეტული პრობლემა არსებობს, რასაც ამ შედეგებამდე მივყავართ?

– კი, თუმცა საფუძველი ამას აქვს ერთი. შრომის ინსპექციას მხოლოდ ის უფლებამოსილება კი არ უნდა ჰქონდეს, რომ შრომის უსაფრთხოების სტანდარტები გააკონტროლოს, არამედ გააკონტროლოს შრომის სამართლებრივი მდგომარეობა სამუშაო ადგილებზე. ნებისმიერი შრომის უსაფრთხოების რისკი, გარდაცვალება, დასახიჩრება და ა.შ., იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დამსაქმებელმა დაიწყო დასაქმებულის სამართლებრივი უფლებების შეზღუდვა. როდესაც დასაქმებულს ეშინია, თქვას მის სამუშაო ადგილზე არსებული რისკების შესახებ, რადგან მას შესაძლოა დაემუქროს სამუშაოდან გათავისუფლება, სწორედ ეს იწვევს უბედური შემთხვევების პროვოცირებას.

– გარდაცვალების შემთხვევაში ვის უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა და რამდენად სამართლიანად ხდება ხოლმე ამ პასუხისმგებლობების აღება?

– არც ერთი მუშა სამუშაოზე თავის მოსაკლავად არ მიდის. შესაბამისად, ყველა ნათქვამი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის შემთხვევა თავისი ბრალი იყოო და ასე შემდეგ, არის დანაშაულებრივი დამოკიდებულება.

ყველა შემთხვევაში, კომპანია არის პასუხისმგებელი მის ტერიტორიაზე მომხდარ უბედურ შემთხვევებზე. მე, დავუშვათ, რაღაც დეპრესია მაქვს, ან სტრესი და თავის მოკვლა რომ მოვინდომო სამუშაოზე, ამის საშუალებას არ უნდა მაძლევდეს იმ სამუშაო ადგილზე დანერგილი უსაფრთხოების სისტემები. მაინც კომპანიაა პასუხისმგებელი. თუმცა აქ მეორე მომენტიც არის სამართლებრივ ჭრილში. თუ საქმე მივიდა სასამართლომდე და დავუშვათ დაზარალებულის ოჯახმა სარჩელი შეიტანა, მოსამართლე მისცემს მსჯელობას, რომ მომხდარ ფაქტში გამოკვეთონ ბრალეულობის პროცენტი. თუ რამდენი პროცენტი იყო მისი ბრალეულობა და იმის მიხედვით გამოაქვთ გადაწყვეტილება.

როდესაც საგამოძიებო სტრუქტურები შედიან და შემთხვევის ადგილებზე ითხოვენ კვლევას, გამოძიება მივა იქამდე, რომ ყველაზე კარგ შემთხვევაში, დაისჯება ვიღაც შუა რგოლის მენეჯმენტი. ანუ შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ან მენეჯერი.

გამოძიება ვერ წვდება მფლობელებს, რომლებიც არიან რეალურად ამ სისტემის დამნერგავები. როდესაც მე ვარ სამშენებლო კომპანიის მფლობელი და გაცხადებული მაქვს, რომ კვადრატული მეტრი არ უნდა დამიჯდეს ამაზე მეტი, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ვერც ერთი მენეჯერი სხვანაირად ვერ იზამს. დაექვემდებარება ამ ჩემ მიერ დანერგილ მოცემულობას.

შესაბამისად, გამოძიება ვერ წვდება მფლობელებს. ეს ცალკე პრობლემაა. შეიძლება პირდაპირი როლი არ არის მათი გარდაცვალების საკითხში, მაგრამ გამოძიება ვერ მიდის იქამდე.

ანრი ოხანაშვილი: „ეკა ბესელია გასულია მომსახურების ზონიდან“

– ეკა ბესელია გასულია მომსახურების ზონიდან, – ამბობს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი.

ოხანაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს პოლიტიზირებულსა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებულს უწოდებს.

– ეკა ბესელიას კაბინეტი ჰგონია ოთახი. პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი რომ წერია ავტორად, მას კაბინეტი წარმოდგენილი აქვს, როგორც ოთახი. აქ ვამთავრებ მასზე პასუხების გაცემას.

მათ ამოძრავებთ პოლიტიკური მოტივაცია, საკითხი გადაიტანონ პოლიტიკურ ჭრილში და პასუხი ამ შეკითხვაზე არის მარტივი. ყველა ეს ჯგუფი არის პოლიტიზირებული.

ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია არის დაკავშირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან,“ ყველაზე არ ვამბობ, თუმცა ბევრი, ვითომ, ე.წ. ექსპერტი დაკავშირებული და ასოცირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

მედიანიუსი

ცნობილია ის 12 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსები მხოლოდ გაჩერებებზე გაჩერდებიან

თბილისში დამატებით 12 ცენტრალურ ქუჩაზე მიკროავტობუსებს გაჩერება მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილ ადგილას შეეძლებათ. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ქუჩები, რომელზეც აღნიშნული რეგულაციები დაწესდება, შემდეგია: ქეთევან დედოფლის გამზირი, თამარ მეფის გამზირი, აკაკი წერეთლის გამზირი, დავით გურამიშვილის გამზირი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, ნუცუბიძის ქუჩა, ცოტნე დადიანის ქუჩა, სულხან ცინცაძის ქუჩა, ვაჟა ჩაჩავას ქუჩა, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, აწყურის ქუჩა, ჯავახეთის ქუჩა.

– ზუსტად ერთი წლის წინ თბილისის მერიამ აამოქმედა რეგულაციები მიკროავტობუსებისთვის. ადრე მიკროავტობუსებს ჰქონდათ უფლება და შესაძლებლობა, სადაც მოესურვებოდათ, გაეჩერებინათ ყველგან. ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ქალაქში ყველანაირი თვალსაზრისით, შესაბამისად, ჩვენ, შარშან შევარჩიეთ 14 ცენტრალური ქუჩა და ისინი დავავალდებულეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე გაეჩერებინათ მიკროავტობუსები. ამ ცვლილებებმა გაამართლა და, შესაბამისად, ჩვენ დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 12 ცენტრალურ ქუჩაზე გავრცელდეს ანალოგიური მიდგომა, – განაცხადა კალაძემ.

ეკა ბესელიას ჩანაწერების საქმეზე ოთხივე დაკავებული პატიმრობაში დარჩა

დეპუტატ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გავრცელების საქმეზე დაკავებული ოთხივე პირი საქალაქო სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

ადვოკატმა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა დააყენა, თუმცა საქალაქო სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და 4 პირი წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

ესენი არიან: ზაალ ლატარია, ზურაბ სოლომნიშვილი, თემურ ირემაძე და ანტონ ღლონტი.

ზაალ ლატარიას ადვოკატის თქმით, მისი კლიენტი იმიტომ ისჯება, რომ ნაცმოძრაობის მხარდამჭერია.

– ზაალ ლატარია 90-იანი წლების რუსეთთან ომის მონაწილე, 2008 წლის ომის მონაწილე გახლავთ, უკრაინაში იცავდა საქართველოსა და უკრაინელი ხალხის ინტერესებს ჩვენი საერთო მტრის, რუსეთის წინააღმდეგ. იმის გამო, რომ ეს ადამიანი ნაციონალური მოძრაობისა და გაერთიანებული ოპოზიციის აქტიური მხარდამჭერი და წევრია, მუქარებისა და გადმობირების მცდელობის შემდეგ, განხორციელდა დაპატიმრება.

არანაირი სამართლებრივი არგუმენტი არ არსებობს იმისა, რომ შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, რადგან მას ეს ჩანაწერი დანაშაულებრივად არ მოუპოვებია, როგორც ამას გამოძიება იძახის. დაუდგენელმა პიროვნებამ გადმოუგზავნა ვიდეო, თუ ვისგან, ეს გამოძიებამ არ დაადგინა. მას ვიდეო არც სოციალურ ქსელში გაუვრცელებია, არც იუთუბზე დაუდია, – განაცხადა ადვოკატმა იაშვილმა.

მოსამართლის გადაწყვეტილებას არც ზურაბ სოლომნიშვილის ადვოკატი მუხრან ღურწკაია დაეთანხმა.

– ჩვენ ვითხოვდით, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ყოფილიყო გამოყენებული, როგორც ეს სხვა ბრალდებულებთან მიმართებაშია გამოყენებული. მათაც იგივე ბრალდება ჰქონდათ წაყენებული და აბსოლუტურად იგივე კვალიფიკაცია აქვთ მათაც, როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. ისინი თავისუფლებაში არიან და ეს ადამიანი პატიმრობაში. დღესაც არ მოხდა სასამართლოს მხრიდან აღკვეთის ღონისძიების შეცვლა.

პირდაპირ არის დაინტერესება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართებაში და მასთან შერჩევითი მართლმსაჯულება განხორციელდა, მეტი სხვა რამის თქმა არ შემიძლია, – განაცხადა ღურწკაიამ.

სამართალდამცავებმა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერის გავრცელების ფაქტზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ვიდეოჩანაწერის შენახვის და გავრცელების ბრალდებით, 18 პირი დააკავეს. მათგან 14 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო აქვთ შეფარდებული, 4 პირს კი – პატიმრობა. ყველა მათგანს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით აქვთ წარდგენილი.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები სოციალური ქსელის და მობილური ინტერნეტაპლიკაციის მეშვეობით ინახავდნენ და მასობრივად ავრცელებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოჩანაწერს.

ქუთაისში და-ძმას მატარებელი დაეჯახა ბავშვები კლინიკაში გადაიყვანეს

19 მარტს ქუთაისში სკოლის მოსწავლე და-ძმას, რომლებიც სკოლიდან სახლში მოკლე გზით ბრუნდებოდნენ, წყალტუბო-ქუთაისის მატარებელი დაეჯახა.

დაშავებული ბავშვები ინტერვენციული მედიცინის ცენტრში არიან მოთავსებული.

ისინი კლინიკაში მძიმე დაზიანებებით შეიყვანეს. როგორც კლინიკაში განმარტავენ, ორივე ბავშვი რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

– მცირეწლოვანი ბავშვები მძიმე მდგომარეობით შემოიყვანეს კლინიკაში. ერთ-ერთს აქვს თავის ტვინის ჰემატობა, ბავშვები მართვით სუნთქვაზე არ არიან. მდგომარეობა მძიმეა, თუმცა დინამიკა სტაბილურია. უტარდებათ გამოკვლევები, რის შემდეგაც დაზუსტდება, დაჭირდებათ, თუ არა ქირურგიული ჩარევა, – აცხადებენ კლინიკაში.

ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 275-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი საწვავის ქურდობის მცდელობის ფაქტზე დააკავეს

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი ქურდობის მცდელობის ფაქტზე დააკავეს. ოსიაურის სამხედრო ბაზის კუთვნილი ავტომობილის მძღოლმა სახელმწიფოს კუთვნილი საწვავის მოპარვა სცადა.

სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საწვავის მოპარვა მაშინ სცადა, როდესაც ბაზიდან გადაადგილდებოდა. სანდო წყარო „კურიერს“ უყვება, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს სამხედრო პოლიციამ ქურდობის ფაქტზე წაასწრო.

მძღოლი ქურდობის მცდელობის დროს დააკავეს. ის ბრალს აღიარებს.

„კურიერის“ ინფორმაციით, საქმე გამოსაძიებლად სამხედრო პოლიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა.

თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტორ მძღოლს ორი წლით პირობითი მსჯავრი განესაზღვრა. ინფორმაცია სამხედრო პოლიციაში დაადასტურეს.

– ხაშურის ტერიტორიაზე და არა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე დაკავებული იქნა თავდაცვის ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის საავტომობილო ბატალიონის მძღოლი, სამოქალაქო პირი, რომელიც ცდილობდა მასზე მიმაგრებული სატვირთო ავტომობილიდან 20 ლიტრი დიზელის საწვავის ქურდობას.

მას წარედგინა ბრალდება ჩადენილი დანაშაულისთვის. აღიარა ჩადენილი დანაშაული და სასამართლოს მიერ იქნა გამოტანილი განაჩენი და მიესაჯა ორი წლით პირობითი მსჯავრი, – განაცხადა პოლკოვნიკმა და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ირაკლი ბაზერაშვილმა.

სადახლოსთან 27 წლის ბიჭი საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს

მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ სადახლოსთან 27 წლის ბიჭი, საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი იპოვეს.

სავარაუდოდ, ახალგაზრდამ იარაღით თავი მოიკლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ავჭალაში „სპარი“ გაძარცვეს, დაკავებულია 2 პირი

ავჭალაში 19 მარტს ღამით ლიბანის ქუჩაზე სუპერმარკეტების ქსელი „სპარის“ ის ფილიალი დააყაჩაღეს, რომელიც პოლიციის შენობის პირდაპირ მდებარეობს, თუმცა თავდასხმა სამართალდამცველებს შეუმჩნეველი დარჩათ.

არსებული ინფორმაციით „სპარში“ რამდენიმე პირი შეიჭრა და დააყაჩაღა. სუპერმარკეტს 800 ლარის ზარალი მიადგა.

როგორც შინაგან საქმეთ სამინისტროში „რუსთავი 2“-ს განუცხადეს, „სპარში“ მომხდარი ყაჩაღობა გახსნილია. უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს-მ 2 პირი დააკავა. უწყების ინფორმაციით, დაკავებულები 1998 წელს დაბადებულები არიან.

მუხიანში სუპერმარკეტიდან 5.000 ლარის სიგარეტი მოიპარეს

ქურდობის ფაქტი მოხდა მუხიანში – ნიღბიანმა დამნაშავეებმა ერთ-ერთი სუპერმარკეტი გაქურდეს. წაღებულია 5.000 ლარის ღირებულების სიგარეტი.

თავდამსხმელებმა, რომლებიც სუპერმარკეტის სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, შენობაში სულ 3 წუთი გაატარეს და ადგილიდან მალევე მიიმალნენ.

– სიგარეტები ბლოკებით არის წაღებული. მხოლოდ სიგარეტებია წაღებული. დაკავებული არ ვიცი, თუ არის ვინმე. ნიღბიანები იყვნენ. კარებზე არის ბოქლომის ჟალუზი ჩაჭრილი, – აცხადებენ სუპერმარკეტში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მუხიანში მარკეტის გაქურდვის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო.

ქურდობის მცდელობა მაღაზია „8000 მოსავალში“

აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ღვინის მაღაზია „8000 მოსავალი“ მეპატრონეებს გუშინ, 20 მარტს, გატეხილი დახვდათ. ჩამსხვრეულია შესასვლელი კარის შუშა, თუმცა თანამშრომლებისა და სამართალდამცავების განცხადებით, დამნაშავეებმა მაღაზიიდან ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს.

ადგილზე საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე, ქურდობის მცდელობის მუხლით არის დაწყებული.

საზოგადოება

„ევროკავშირთან 2 თვეში ექსპორტის კლება ტრაგედია არაა, წლიურ მაჩვენებელს უნდა ვუყუროთ“

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში 118.2 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, რაც 10.7%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე, განსხვავებული მონაცემებია დსთ-ის ქვეყნების შემთხვევაში – საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 254.8 მლნ აშშ დოლარის საქონელი, რაც 45.7%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 50.4% პროცენტს შეადგენს.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სერვისების და რეგიონალური განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჩიტაძე განმარტავს, რომ „ეს ტრაგედია არაა და მთავარი წლების მაჩვენებელი და დინამიკაა, რომელიც 2012 წლიდან-დღემდე დადებითი ტრენდით ხასიათდება“.

– ის, რომ იანვარ-თებერვალში ევროკავშირში ექსპორტი 10%-ით შემცირდა, ჩემი აზრით, ეს საგანგაშო მაჩვენებელი არ არის. წლების დინამიკას უნდა ვუყუროთ – მაგალითად, გასულ წელს თუ შევხედავთ, სავაჭრო ბრუნვა 17.7%-ით იყო გაზრდილი, ექსპორტი კი – 11.5%-ით. არის გარკვეული სახის პროდუქტები, რომელიც შეიძლება რუსეთში პერიოდული მიწოდების სახით უფრო გაიზარდა, მაგრამ ეს არ არის საგანგაშო. 2012 წლიდან მოყოლებული 2018 წლის ჩათვლით, ევროკავშირთან ვაჭრობის ტრენდი არის ზრდადი, ერთადერთი ჩავარდნა 2016 წელს გვქონდა 2015-თან შედარებით, მას შემდეგ ეს მუდმივად იზრდება. შეიძლება წლის განმავლობაში ისეთი ცვლილებები განხორციელდეს, რომ ეს 10%-იანი ჩავარდნა გამოსწორდეს, – განაცხადა მან.

ჩიტაძე განმარტავს, რომ ახალი სტრატეგიის და მიმართულებების შემუშავება, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოხდეს და მნიშვნელობა არ აქვს ევროკავშირთან ექსპორტი შემცირდება თუ გაიზრდება.

BMG

„გირო კრედიტზე“ თავდასხმისთვის მამა-შვილი დააკავეს



სამართალდამცველებმა მამა-შვილი დააკავეს.

მათ ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარებაში ადანაშაულებენ.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა პეკინის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია დააყაჩაღეს, საიდანაც თანხის წაღება ვერ შეძლეს და ტერიტორია სამართალდამცველების მისვლამდე დატოვეს.

თავდამსხმელებმა ადგილზე ერთხელ გაისროლეს, თუმცა არავინ დაშავებულა. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რომის საკრებულოს თავმჯდომარე მარჩელო დე ვიტო დააკავეს

იტალიის დედაქალაქ რომის საკრებულოს თავმჯდომარე მარჩელო დე ვიტო კორუფციის ბრალდებით დააკავეს.

დაკავება საფეხბურთო კლუბ „რომასთვის“ ახალი სტადიონის მშენებლობის გამოძიების საქმის ფარგლებში მოხდა.

როგორც იტალიური მედია იუწყება, გამოძიების ფარგლებში კორუფციის, ასევე თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები იყო გამოვლენილი სტადიონის და ქალაქის ცენტრში სასტუმროს კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს. არსებული ინფორმაციით, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ ხელი შეუწყო აღნიშნული პროექტების დამტკიცებას.

მარჩელო დე ვიტო პარტია „მოძრაობა 5 ვარსკვლავს“ წარმოადგენს.

პოლონელებმა პუტინი თავიანთ ღონისძიებაზე არ მიიწვიეს

მალე პოლონეთი მეორე მსოფლიო ომის დაწყების მე-80 წლისთავს აღნიშნავს.

ამ ღონისძიებაზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი არ დაპატიჟეს. პოლონელები თვლიან, რომ რუსეთი ისეთივე აგრესორია, როგორც ჰიტლერული გერმანია და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შედეგად გახდა შესაძლებელი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მან პრეზიდენტ დუდას პუტინის მიწვევა ურჩია. 10 წლის წინ, როცა მეორე მსოფლიო ომის დაწყების 70-ე წლისთავი აღინიშნებოდა, ამ ღონისძიებას პუტინიც დაესწრო.

ახლა დუდამ სხვაგვარად გადაწყვიტა. პუტინიც არ მიიწვიეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბრაზილიის პრეზიდენტი ვაშინგტონში ჩავიდა

ბრაზილიის პრეზიდენტი ბოლსონარუ ვაშინგტონში ჩავიდა. თეთრ სახლში შედგა მისი შეხვედრა ტრამპთან. მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-ბრაზილიის ურთიერთობები, აგრეთვე ვენესუელაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

ბოლსონარუმ განაცხადა, რომ ბრაზილიის შეიარაღებულ ძალებს თავიანთ ვენესუელელ კოლეგებთან ახლო ურთიერთობები აქვთ. შესაბამისად, სიტუაციის დარეგულირებაში უდიდესი წვლილის შეტანა ძალუძთ.

– მთავარია, რომ ვენესუელის შეიარაღებულმა ძალებმა მადუროს დანაშაულებრივი ბრძანებები კი არ შეასრულონ, არამედ ხალხი დაიცვან! ჩვენ შეგვიძლია ეს უზრუნველვყოთ, – თქვა ბოლსონარუმ.

სირია: ექსტრემისტების უკანასკნელი ციხადელი დაეცა

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა აშშ-ის ავიაციის მხარდაჭერით ქალაქი ბაჰტი დაიკავეს. დაეცა უკანასკნელი დასახლებული პუნქტი, რომელსაც ექსტრემისტები აკონტროლებდნენ.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ტრამპმა სირიიდან აშშ-ის ჯარის გაყვანის შესახებ გამოაცხადა. ამის გამო პრეზიდენტი კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. ტრამპმაც განაცხადა, რომ აშშ-ის ჯარის გამოყვანა ნელ-ნელა მოხდება.

ჩეხეთში რუსი ჰაკერები დააპატიმრეს

ჩეხეთის კონტრდაზვერვამ დააკავა რუსი ჰაკერების ჯგუფი, რომელიც ახორციელებდა კიბერშეტევებს როგორც ჩეხეთში, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში.

ხსენებული ჯგუფი პრაღაში მოქმედებდა, თუმცა მისი დაფინანსება და კოორდინირება მოსკოვიდან ხდებოდა.

მასში შედიოდნენ როგორც ჩეხეთის, ასევე რუსეთის მოქალაქეები.

ქირურგმა ტვინზე ოპერაცია ტელეფონით გააკეთა

ჩინეთში პირველად ჩატარდა ოპერაცია ადამიანის ტვინზე, რომლის დროსაც ქირურგი ავადმყოფისგან სამი ათასი კილომეტრით იყო დაშორებული.

ჩინეთის ქალაქ სანიაში ქირურგი ლინგ ჟიპეი ტელეფონით ჩაერთო ეკრანებზე, რომლებიც ავადმყოფის საოპერაციო პალატაში იყო დაყენებული. სპეციალური მოწყობილობების წყალობით მან ავადმყოფის ტვინში ჩასვა იმპლანტი ორგანოს ღრმა სტიმულაციისთვის – ჩიპი, რომელიც გამოიყენება პარკინსონით დაავადებული ადამიანის მდგომარეობის გასარკვევად.

ოპერაცია დაახლოებით სამ საათს გრძელდებოდა. ლინგ ჟიპეი პროცესებს „რეალური დროის რეჟიმში“ მართავდა, რისთვისაც ინტერნეტსა და მობილურ ტელეფონს იყენებდა.

ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი სწრაფად მოვიდა გონს და ქირურგს აცნობა, რომ თავს კარგად გრძნობდა.

აგრესიული კობრა ველოსიპედისტს თავს დაესხა

ინდოეთის ტელინგანის შტატში კობრა თავს დაესხა ველოსიპედისტსა და მის მგზავრს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ადგილობრივი დროით 15:50 საათზე მოხდა. კადრებში, რომელიც სათვალთვალო კამერის მიერაა გადაღებული, ორმა ინდოელმა ველოსიპედით მთავარი გზიდან მეორეხარისხოვან გზაზე გადაუხვია, სადაც მათ თავს კობრა დაესხა. ქვეწარმავალი მაშინვე ველოსიპედის წინა ბორბალში გაიჭედა, ამ დროს კი მამაკაცებმა თავიანთი სატრანსპორტო საშუალება მიატოვეს და სხვადასხვა მხარეს გაქცევით უშველეს თავს.

ამ ინციდენტის შედეგად ადამიანებიდან არავინ დაშავებულა. ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რომელი სახეობის გველი დაესხა თავს ველოსიპედისტებს, თუმცა დიდი ალბათობით ის ინდური კობრაა, რომლის შხამი ძალიან სახიფათოა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა გამოძახებით კლიენტების უცნაურ სურვილებზე ისაუბრა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა, რომელიც ფულს ქალებისთვის სექს-მომსახურებით გამოიმუშავებს, ერთ-ერთ გამოცემასთან საკუთარ სამუშაოზე ისაუბრა.

მისი თქმით, მან პროსტიტუციით დაკავება დაახლოებით სამი წლის წინ გადაწყვიტა.

– მე ყოველთვის მიყვარდა ქალები და ავანტიურა, – განმარტა მამაკაცმა. სპეციალურ ვებ-გვერდზე რეგისტრაციიდან ორ კვირაში მის რეკლამას პირველი კლიენტი გამოეხმაურა.

ახლა კი ამ სამსახურს მისთვის თვეში 4-დან 10 ათას ფუნტ სტერლინგამდე შემოსავალი მოაქვს.

– მხოლოდ ერთი მეგობრისთვისაა ცნობილი, რითიც ვარ დაკავებული, – ამტკიცებს მამაკაცი, – მე მაქვს ჩვეულებრივი სამსახური. ახლო ნათესავებმაც კი არ იციან ამ ჩემი სამსახურის შესახებ, თუმცა ამის დამალვა ძალიან მიჭირს.

მამაკაცი გამოძახებით რანგში ბრიტანელმა მთელი ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა შემოიარა, ასევე იყო არგენტინაში. მისი თქმით, ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჰქონდა მალდივიზე.

– ჩვენ 18 დღე ვმხიარულობდით შთამბეჭდავ კურორტზე, – იხსენებს ბრიტანელი, – ვეგასში მთელი დღე შვეულმფრენით დიდი კანიონის გარშემო დავფრინავდით. ადრე მსგავსი რამ არასოდეს გამიკეთებია.

მამაკაცმა აღმოაჩინა, რომ კლიენტი ქალების უმრავლესობა მასთან სექსს არც კი გეგმავდა.

– ისინი ფულს იმაში იხდიან, რომ მისი თანმხლები იყო წვეულებაზე, ან ქორწილში. დიახ, ზოგჯერ მათთან მძინავს, მაგრამ ეს ის არ არის, რასაც მამაკაცები აკეთებენ, როდესაც ქალს გამოძახებით მხოლოდ სექსისთვის ქირაობენ, – აცხადებს მამაკაცი.

მისი თქმით, მას ზოგიერთ წინადადებაზე უარის თქმა უწევდა.

– ერთი ყმაწვილი დამიკავშირდა და მითხრა, რომ სურდა მის მეუღლესთან სექსით დავკავებულიყავი, ის კი ამ დროს ჩემი ფეხსაცმლისა დე ფეხების ყნოსვით იქნებოდა დაკავებული. მან რამდენჯერმე დამირეკა და საბოლოოდ მისი დაბლოკვა მომიწია, – განაცხადა ბრიტანელმა, რომელსაც ასევე უარის თქმა მოუწია კლიენტთან სექსის დროს მისი მეუღლის სკაიპით ჩართვაზე, ისევე, როგორც ოჯახური პორნოს შექმნაზე.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქუთაისი პირველი ნახევარფინალისტია

ჯაჯუსი-ქუთაისი 66:91
(15:27, 13:17, 21:24, 17:23)

თბილისში კაკტუსმა ქუთაისს უმასპინძლა და 66:91 დამარცხდა. შესაბამისად, სერიაში ქუთაისელებმა იმარჯვეს, რომლებსაც პირველი მატჩი შინაურ დარბაზში ჰქონდათ მოგებული. ამგვარად, ქუთაისი საქართველოს თასის პირველი ნახევარფინალისტია.

კაკტუსს ტრავმის გამო აკლდა ანატოლი ბოისა, დელანო სპენსერი და წინააღმდეგობა ვერ გაუწია მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ ფავორიტს.

როგორც ქუთაისურ მატჩში, ბრძოლა არც ამჯერად შედგა და რიონისპირელებმა იოლად იმარჯვეს, რაშიც დიდი წვლილი დავით ლომიძემ შეიტანა, რომელმაც შეხვედრა 20 ქულით, 8 მოხსნითა და 7 პასით დაასრულა. დელენზერ ბუსის ანგარიშზე 14 ქულაა, გიგი ბარბაქაძე 13 ქულა მოინაგრა, ხოლო აკაკი დვალიშვილმა – 12. კაკტუსში 15-15 ქულით დომენიკ ელიოტი და ლუკა ტიმოშენკო გამოირჩნენ.

როგორც გითხარით, ქუთაისი ნახევარფინალშია და ელოდება მეტოქეს, რომელიც ტიტები-ოლიმპის წყვილში უნდა გამოვლინდეს. სერიას ტიტები 1:0 იგებენ.

ბათუმი-დელტა 60:74
(15:23, 24:14, 12:15, 9:22)

რაც შეეხება ბათუმში გამართულ მატჩს, თბილისის დელტას გამარჯვებით – 74:60 დასრულდა.

ბათუმელებს სტუმრად მოგებული ჰქონდათ, ამიტომაც შინ გამარჯვება ჰყოფნიდათ, თუმცა, ვერ შეძლეს მობილიზებული და მოსაგებად მომართული დელტელების დამარცხება. სერიაში ანგარიში გათანაბრდა და გამარჯვებულს მესამე, გადამწყვეტი მატჩი გაარკვევს.

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ზღვისპირელები 2 ქულას იგებდნენ, ხოლო ბოლო მეოთხედის წინ ქულით ჩამორჩებოდნენ. გია კაზანჯიანის გუნდმა სწორედ ბოლო 10-წუთეული დათმო მეტოქესთან და საქმე გაირთულა.

დელტაში კეისი შეპარდი გამოირჩა, რომელსაც 22 ქულასთან ერთად 6-6 მოხსნა და პასი ჰქონდა. არტიომ შვეცმა 16 ჩააგდო.

ბასილაშვილი და დე ვიტი დიდი სლემის მოგებას გეგმავენ

დღესდღეობით ნიკოლოზ ბასილაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელია. მან უკვე შექმნა ისტორია, თუმცა ქართველ გულშემატკივარს სწამს, რომ კარიერის საუკეთესო წლები კიდევ წინ არის და ის არაერთხელ შეძლებს ქომაგების გახარებას. ბასილაშვილმა ბოლო ერთ წელიწადში უდიდესი პროგრესი განიცადა, მოიგო ჰამბურგის და პეკინის პრესტიჟული ტურნირები და ტოპ ოცეულის კარიც დამსახურებულად შეაღო.

თუმცა, ნიკოლოზ ბასილაშვილის განვლილი გზა ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა. მას ბევრი სიძნელეების გადალახვა მოუხდა.

მაიამის მასტერსის დაწყებამდე ბასილაშვილის საუბარი ატპ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ნიკოლოზ ბასილაშვილი:

– 22-23 წლამდე ნადირივით ვიყავი. მსურდა კარგად მეთამაშა და სიმაღლეებზე ავსულიყავი, მაგრამ ამას ვერ ვახერხებდი. პროფესიონალურ ჩოგბურთს სხვანაირი მიდგომა სჭირდებოდა. ვიცოდი, რომ ასე წინ ვერ წავიდოდი, რაღაცის შეცვლა იყო საჭირო.

ბევრი ბარიერის გადალახვა მომიხდა, უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. გუნდი მჭირდებოდა, რომელსაც ბოლომდე მივენდობოდი, რწმენას დამიბრუნებდა და სწორ გზაზე დამაყენებდა. იყო პერიოდი, როდესაც ტურნირიდან ტურნირამდე მე და მამაჩემს მანქანაში გვეძინა. ხანდახან ეს თვის მანძილზეც გრძელდებოდა. იმ დროს ახალგაზრდულ ტურნირებს ვთამაშობდი, ასე ტურში ძალიან გამიჭირდებოდა.

ცუდ პირობებში ვვარჯიშობდი, სპონსორს ვერ ვპოულობდი და ამიტომაც იძულებული გავხდი, რუსეთის მოქალაქეობა მიმეღო. 21 წლის ასაკში ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიხდა. ახლა რომ ვუფიქრდები, ცუდ პერიოდს უკვალოდ არ ჩაუვლია. მან ძალა შემმატა და წინსვლის სურვილი გამიღვივა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ მაღალი მიზნებისთვის უნდა მებრძოლა.

როდესაც ბასილაშვილი 15 წლის იყო, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა. 2011 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის რუსეთის სახელით ითამაშებდა, მაგრამ ბასილაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს დროშის ქვეშ ეთამაშა.

კარგი ფორჰედისა და ბექჰენდის მქონე ბასილაშვილს ყოველთვის ჰქონდა საკმარისი ტექნიკა და ფიზიკური მონაცემები, რომ უდიდესი მოთამაშეებისთვის ზიანი მიეყენებინა, თუმცა მისმა პერფექციონისტულმა და კრიტიკულმა ბუნებამ და უმწვრთნელობამ მისი განვითარება შეაფერხა.

ბასილაშვილმა ახალი მწვრთნელი აიყვანა – გერმანელი იან დე ვიტი, რომელთან ერთად ბოლო 13 თვეში ნიკოლოზი 89-ე ადგილიდან მე-18 ადგილამდე აღზევდა. 2018 წელს მან 2 ტურნირი მოიგო – ჰამბურგსა და პეკინში.

იან დე ვიტი:

– რომ შემეძლოს 21 წლის ნიკასთან საუბარი, სათამაშო სტილს არ შევცვლიდი, თუმცა მენტალურ მხარეზე მეტად ვიმუშავებდი. გაკვირვებული ვარ, რა სწრაფად განიცადა მან პროგრესი. ასეთი სწრაფად ამთვისებელი მოთამაშე არასდროს გამიწვრთნია. ვიცი, რომ სანამ ტოპ 10-ში არ მოხვდება, კმაყოფილი არ იქნება, მე კი ეს ნამდვილად არ გამიკვირდება. მსოფლიოს მე-20 ჩოგნობა მისი ან ჩემი მიზანი არ ყოფილა. არც მე-10 ადგილია მიზანი, რადგან თუ ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც დავგეგმეთ, ეს შედეგიც დადგება.

ჩვენი მიზანი დიდი სლემის ტურნირის მოგებაა.

ვატო არველაძე: „რაიოლა დამეხმარება კარიერულ წინსვლაში და ოჯახი ჩემით იმაყებს“

საქართველოს ნაკრებში დებიუტანტია ვატო არველაძე. ნაკრებში ამ გვარის 3 ფეხბურთელს უთამაშია. ვატოს მამას, რეზი არველაძესა და ბიძებს – შოთისა და აჩის.

– როდესაც ოჯახში ასეთი ადამიანები გყავს, როგორ შეიძლება ვერ გახდე ფეხბურთელი? – რიტორიკულ კითხვას სვამს პოლონური კორონას შემტევი.

ქართველ ფორვარდზე პატარა სტატია პოლონურ მედიაში გამოქვეყნდა.

ვატო ჰამბურგში დაიბადა, სადაც მისი მამა თამაშობდა. რევაზ არველაძე გერმანიის რანგით მესამე ლიგის კლუბ ჰომბურგში ასპარეზობდა.

ვატო არველაძე:

– შოთის ბიჭი ფეხბურთს კარგად თამაშობდა, კარგი უნარები ჰქონდა, თუმცა აქცენტი სწავლაზე გააკეთა. ინგლისში პოლიტიკის მეცნიერება ისწავლა და ამჟამად შოტლანდიაში მუშაობს. რაც შეეხება ჩემს ძმას, მას ფეხბურთის თამაში ძალიან უყვარდა, თუმცა არ ჰქონდა ნიჭი. ამგვარად მხოლოდ მე დავრჩი, ვინც ფეხბურთელის კარიერა აირჩია.

დღეს მთელი ოჯახი მე მიყურებს, იმედი მაქვს, ფეხბურთში ბევრს მივაღწევ. მე არ ვარ წნეხის ქვეშ, ოჯახის წევრები მეხმარებიან, მათ შორის დედა, რომელიც სპორტსმენი არაა, დიზაინერია, მაგრამ მას უყვარს ფეხბურთი და სურს, წარმატებებს მივაღწიო. როცა საშუალება აქვს, შოთი ჩემს თამაშებს უყურებს და შემდეგ უამრავ რჩევას მაძლევს.

ვატო არველაძისთვის კორონა პირველი უცხოური კლუბი არაა. 16 წლის ასაკში თურქულ ქასიმფაშაში გადავიდა, სადაც ასაკობრივ გუნდში თამაშობდა, პირველ გუნდს შოთა არველაძე წვრთნიდა და ვატოს მისი ხელმძღვანელობით ვარჯიში ხშირად უწევდა.

– საქართველოში 15 და 16 წლის ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, თუმცა კლუბებს სათანადო ფინანსური პირობები არ აქვთ, ასევე არაა სავარჯიშო პირობები და ყველა, ვინც უცხოეთში თამაშის შანს იღებს, ქვეყანას ტოვებს. ქასიმფაშაში დიდებული ფეხბურთელები თამაშობდნენ. მათ შორის იყო რაიან ბაბელი, თუმცა ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რაიან დონკმა მოახდინა. ამჟამად დონკი გალათასარაის ფეხბურთელია. 17 წლის ვიყავი და კლუბის დატოვება გადავწყვიტე, რადგან პირველ გუნდში თამაშს მხოლოდ მაშინ შევძლებდი, როცა სრულწლოვანი გავხდებოდი. საქართველოს პასპორტი მაქვს და პირველ გუნდში მხოლოდ ვარჯიშის უფლება მქონდა. საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე.

ვატო, ფეხბურთის გარდა, კალათბურთითაა დაინტერესებული.

– ნბა-ს მატჩების ყურება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ლეიკერსის ქომაგი ვარ. კობი ბრაიანტი დიდებული სპორტსმენის მაგალითია. ის ნამდვილი ლიდერია, რადგან მას გვერდით არ ჰყავდა ვარსკვლავები, თუმცა ყველაფერს მიაღწია.

ვატო არველაძე მის აგენტ მინო რაიოლაზე საუბრობს, რომელსაც შოთა არველაძის დახმარებით დაუკავშირდა:

– რაიოლამ ყველაფერი იცის ფეხბურთის შესახებ. ის პოგბასა და ლუკაკუს კარიერაზე ზრუნავს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო აგენტია. დარწმუნებული ვარ, თუ დიდებულ ფორმაში შევალ, რაიოლა დამეხმარება კარიერულ წინსვლაში და ოჯახი ჩემით იმაყებს.

პაატა გურასპაული: „ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის განაცხადი წარვადგინეთ“

კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მასპინძლობაზე სურვილი რამდენიმე თვის წინ გამოთქვა, 15 მარტს კი ეს სურვილი ფიბა ევროპის ოფისში ოფიციალურად დააფიქსირა.

თუ ყველაფერი კარგად იქნება, 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთ-ერთი ჯგუფის მასპინძელი საქართველო გახდება.

აღნიშნულ თემას უკავშირდება კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, პაატა გურასპაულის ვიზიტი ლიეტუვაში, სადაც ფედერაციის ხელმძღვანელობა ოფიციალურად შეხვდა ლიეტუვის ფედერაციის პრეზიდენტს და მსოფლიო კალათბურთის გამორჩეულ ფიგურას არვიდას საბონისს.

– რა სამუშაო გასწია ფედერაციამ ევრობასკეტ 2021-ის მასპინძლობაზე და რა პროცედურები იყო ამ ყველაფრისთვის საჭირო?

– კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გააკეთა ოფიციალური განაცხადი, 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთ-ერთი ჯგუფის მასპინძლობის თაობაზე. განაცხადის მიღების ვადა 15 მარტამდე იყო და ამ დროისთვის ოფიციალურად დავაფიქსირეთ განაცხადი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვმუშაობდით სახელმწიფოსთან ერთად და ამ პროცესში ყველა სამთავრობო უწყება იღებდა მონაწილეობას. ჩვენ შევხვდით საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელმაც სრული მხარდაჭერა და მზადყოფნა აღგვითქვა. განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იქნა საგარანტიო წერილები ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფასა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მზადყოფნის შესახებ. შესაბამისად, განაცხადი, ჩვენი მხრიდან სრულყოფილად და უნაკლოდ იქნა წარმოდგენილი.

– რატომ გაუჩნდა საქართველოს განაცხადის გაკეთების სურვილი და რა შანსები აქვს ჩვენს ქვეყანას გახდეს მსგავსი ტიპის პრესტიჟული ტურნირი მასპინძელი?

– საქართველომ ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ 4-ჯერ იასპარეზა და საკმაოდ წარმატებულად. ჩვენს ქვეყანას სულ ცოტა დააკლდა მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრილიყო და ყველამ გაიგო, რომ საქართველო ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე. საქართველოში ხალხს უყვარს კალათბურთი და გულშემატკივრობს. საორგანიზაციო კუთხით ჩვენ არ გვაკლია გამოცდილება და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მასპინძლობისას ფიბასგან არა ერთხელ დავიმსახურეთ მაღალი შეფასება. ამასთან, 2021 წელს ჩვენ ნაკრებს პოტენციალი ექნება არა მხოლოდ მიიღოს მონაწილეობა, არამედ მაღალ შედეგებს მიაღწიოს.

– როდის იქნება ფიბა ევროპის მიერ გადაწყვეტილება მიღებული მასპინძლობის თაობაზე?

– 25 მაისს ჩატარდება ფიბა ევროპის პრეზიდენტის არჩევნები, ახალ პრეზიდენტთან ერთად შეიკრიბება ბორდი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას თუ ვინ უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს.

– როგორია ჩვენი შანსები და რა საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს საქართველოს?

– შეხვედრების დროს ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად ყველა აღნიშნავს, რომ ჩვენ გავიზარდეთ როგორც საკალათბურთო თვალსაზრისით მოედანზე, ისევე, როგორც მასპინძლები და ორგანიზატორები. ამ კუთხით წამყვან ადგილს ვიკავებთ და ჩვენ, როგორც საკალათბურთო ქვეყანა, მოვმწიფდით და საშუალო დონის გუნდებიდან დიდი პოტენციალი გაგვაჩნია. ჩვენი მოთამაშეები 2021 წელს სრულ მზადყოფნაში იქნებიან, მაგ დროისთვის ძლიერი შემადგენლობა გვეყოლება და ამიტომ ეს იდეა ჩემი გაპრეზიდენტების დღიდან მაწუხებს და ვფიქრობ, მოვიდა დრო, ფიბა ევროპამ მოგვცეს ეს სტატუსი და ვიყოთ მასპინძლები.

– ლიეტუვაში ვიზიტის მთავარი მიზანი რა იყო?

– ყველამ ვიცით, რომ არვიდას საბონისი მსოფლიო მასშტაბით ლეგენდაა და ამასთან, ის არის ჩემი უახლოესი მეგობარი უკვე ათეული წლების მანძილზე. ის არის უნიკალური პიროვნება. ლიეტუვა კი ჩვენი ქვეყნის დიდი გულშემატკივარია. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო, მათ გაეზიარებინათ ის დიდი გამოცდილება, რაც 2011 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობით მიიღეს. ისინი იყვნენ არა ჯგუფის, არამედ მთლიანი ევრობასკეტის მასპინძლები და აქვთ უზარმაზარი გამოცდილება. მე გავეცანი სწორედ ამ კუთხით მუშაობას – ვნახე ჟალგირისის არენა, ვილნიუსში სიმენს არენა, კლაიპედას არენა, სადაც 2011 წელს ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდა საქართველო, დავესწარი უამრავ მატჩს, კერძოდ: ევროლიგის შეხვედრას გრან კანარიასთან, შიდა ჩემპიონატს ლიეტუვას რიტასთან ვილნიუსში, ბალტიის ლიგაში ქალთა შორის ფინალურ მატჩს, ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩებს. დავათვალიერე ყველა ის ობიექტი, რომელთა აშენებასაც, საბონისის თქმით, ბიძგი მისცა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობამ.

დარბაზების და ობიექტების უმრავლესობა ლიეტუვაში აშენდა მას შემდეგ, რაც მათ მასპინძლობის უფლება მოიპოვეს. ასე რომ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და ეს იქნება ახალი ბიძგი და მუხტი იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა, აშენდეს ახალი ობიექტები, სავარჯიშო დარბაზები, სადაც მოემზადებიან ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც მომავალში შეავსებენ ეროვნულ ნაკრებს. მე კარგად ჩავიხედე მათ საკალათბურთო მეურნეობაში და ვნახე, როგორ აკეთებენ ამ ყველაფერს.

ლიეტუვაში ხუთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ჩემთან ერთად იმყოფებოდა გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი და ლიეტუვას ფედერაციის გენერალური მდივანი მინდაუგას შპოკასი. ჩვენ გვქონდა ინტენსიური საუბრები მასპინძლობასთან დაკავშირებით, საბონისი ჩვენი განაცხადის შესახებ საქმის კურსშია და მისი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ის არა მხოლოდ პირად საუბრებში გვიჭერს მხარს, არამედ იქ, სადაც მისი მხარდაჭერა საჭირო იქნება. ცხადია, ჩვენ სხვა ქვეყნებისგანაც გვაქვს მხარდაჭერა, რადგან საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომელსაც ძალიან სჭირდება ასეთი შეჯიბრებები განვითარებისა და წინსვლისთვის.

– სხვა თემებთან დაკავშირებით თუ გქონდათ საუბარი არვიდას საბონისთან?

– განვიხილეთ ბავშვთა საკალათბურთო თემები. მათ გამიზიარეს გამოცდილება, როგორ ზრდიან ახალგაზრდა მოთამაშეებს, დავათვალიერე საკალათბურთო სკოლები, მათ შორის საბონისის სკოლა, რომელიც საუკეთესოა ლიეტუვაში და რომელიც თვითონ საბონისმა დააარსა.

ის წლების განმავლობაში პირადად ხელმძღვანელობდა სკოლას და შემდგომში გადასცა სახელმწიფოს, კერძოდ, ქალაქ კაუნასის მუნიციპალიტეტს. ლიეტუვა ბავშვთა კალათბურთის განვითარების მხრივ უმაღლეს დონეზეა.

მას შემდეგ, რაც ფიბა ევროპა მასპინძლობის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს, ჩვენ კიდევ ერთი შეხვედრა დავგეგმეთ, სადაც განვიხილავთ მომდევნო ნაბიჯებს. ლიეტუვასთან თანამშრომლობა დაწყებულია და ის მოიცავს სამწვრთნელო პროცესებს, კემპებს, მსაჯების თემას და სხვ.

ლიეტუვა ევროპაში წარმატებული საკალათბურთო ქვეყანაა და მაგალითი მისგან უნდა ავიღოთ. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ეს თანამშრომლობა ქართული კალათბურთის ხვალინდელ დღეს წაადგეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს ნაკრები მზადებას აგრძელებს

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მზადების ფარგლებშია. ყველა ფეხბურთელი ადგილზეა, მხოლოდ ეროვნული გუნდის დებიუტანტი ვატო არველაძე ვარჯიშობს ინდივიდუალურად. სხვა ფეხბურთელებმა სრული დატვირთვით ივარჯიშეს.

გიორგი ქვილითაია:

– სრული შემადგენლობით ვივარჯიშეთ. რა თქმა უნდა, სრული სერიოზულობით ვემზადებით. ძლიერი მეტოქე გვყავს, ვფიქრობ, რომ შვეიცარია ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი ნაკრებია, თუმცა, სახლში ვთამაშობთ და იმედი მაქვს, გულშემატკივარი მხარს დაგვიჭერს, როგორც ეს ერთა ლიგაზე მოხდა. ბოლო პერიოდში ძლიერ ნაკრებად ჩამოვყალიბდით, თავდაჯერება დაგვიბრუნდა. ვფიქრობ, რომ ჩვენ სწორედ საკუთარ ძალებზე უნდა ვკონცენტრირდეთ. ბოლო ოფიციალური თამაშები ტრავმის გამო გამოვტოვე, სწორედ ამიტომ დიდი მოლოდინი მაქვს როგორც მე, ასევე მთელ გუნდს. წლის პირველი მატჩი შვეიცარიასთან განსაკუთრებულია როგორც ფეხბურთელებისთვის, ასევე ჩვენი გულშემატკივრებისთვის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ანა დოლიძე: „საბოლოოდ მივალთ იქამდე, რომ ნელ-ნელა მოხდება საქართველოს უზბეკიზაცია“

– ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებდა, რა მოუვიდა სასამართლო ხელისუფლებას, სანამ ეს არ გახდა პოლიტიკურად მოგებიანი, მაგრამ სასამართლო სისტემასთან ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ. გამორიცხულია, არ გავჩერდებით და ეს არ იქნება ხავერდოვანი პროცესი. პროტესტის ყველა ფორმას მივმართავთ, რათა სასამართლოში არ დაინიშნონ კლანის წევრები, – აცხადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე კომერსანტთან საუბარში და დარწმუნებულია, რომ ამ ბრძოლაში ხელისუფლება აუცილებლად დამარცხდება.

დოლიძე ასევე დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძეც სწორედ სისტემას შეეწირა, გახდა ძალადობის მსხვერპლი და საბოლოოდ ყველა პოლიტიკურმა ძალამ მიატოვა.

– სამი შემთხვევა იყო, როცა გვენეტაძე უვადოდ დანიშვნას არ აწერდა ხელს და ოთახიდან არ გამოდიოდა; მერე გააკეთა კიდეც განცხადება, რომ ძალადობის მსხვერპლია. არავინ იმ ხალხიდან, არც ბესელია, არც ზარდიაშვილი, არ გამოხმაურებია ამ განცხადებას. საჯაროდაც არ დასმულა შეკითხვა, ასეთი უმაღლესი თანამდებობის პირი რატომ აკეთებს მსგავს განცხადებებს... ფაქტია, ეს ქალი მიატოვა პოლიტიკურმა ძალებმა და ამ სისტემასთან დარჩა მარტო. ბუნებრივია, ბრძოლაში წააგო, – აღნიშნავს ანა დოლიძე.

სასამართლო სისტემა, რომ ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, ამას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მსოფლიოს ადამიანების უფლებების შესახებ ყოველწლიური ანგარიშიც ადასტურებს. როგორც იცით, დოკუმენტში 47 გვერდი საქართველოს ეთმობა და მათ შორის ერთ-ერთი სწორედ სასამართლო სისტემაში არსებულ დაბრკოლებებს უკავშირდება. ანა დოლიძე აღნიშნულს აშშ-ს მხრიდან გამაფრთხილებელ გზავნილად აფასებს.

– ეს არის ყვითელი ბარათი. არადა, ამ ანგარიშზეა დამოკიდებული დახმარების მთელი პროგრამები, რასაც ჩვენი ხელისუფლება იღებს ამერიკიდან. საბოლოოდ, მივალთ იქამდე, რომ ეს პროგრამების შეწყდება და ნელ-ნელა მოხდება საქართველოს უზბეკიზაცია.

ხელისუფლებისთვის და ივანიშვილისთვის ეს არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენთან თანამშრომლობის ზღვარი გადის მურუსიძე-ჩინჩალაძეზე. ამას ემატება ინვესტორების ფაქტორიც. ნებისმიერი უცხოელი ინვესტორი, როდესაც ქვეყანაში შემოდის, პირველ რიგში, ინტერესდება თუ შეძლებს, პირობითად, საკუთარი 100 ლარის დაცვას სასამართლოში. ეს არ ეხება ქვეყნებს, სადაც გარიგებები კორუფციით ხდება. საუბარი მაქვს ევროკავშირზე, ამერიკაზე და მათთან საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტა პირდაპირ შეამცირებს ინვესტიციებსა და სამუშაო ადგილებს, – აცხადებს ანა დოლიძე.

საფრანგეთის სანაპიროზე ასეულობით მკვდარი დელფინი გამოირიყა

წლის დასაწყისიდან საფრანგეთის სანაპიროზე რეკორდული რაოდენობის მკვდარი დელფინები აღმოაჩინეს.

ორი სხვადასხვა კვლევის თანახმად, 2019 წლის პირველ თვეებში პლაჟებზე 400-დან 600-მდე მკვდარი დელფინი შენიშნეს. ხოლო ერთ-ერთმა ფრანგულმა ორგანიზაციამ 2018 წლის დეკემბრიდან მოყოლებული 990 მკვდარი დელფინი დაითვალა.



– თუ ამ ციფრებს გასული წლის ანალოგიურ პერიოდს შევადარებთ, მკვდარი დელფინების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით აშკარად მეტია და რომლებიც ასევე რეკორდულად ითვლებოდა, – განაცხადა ბიოლოგმა ელენ პოლტიემ.

ბევრ დელფინს დამტვრეული ჰქონდა ძვლები, ფარფლები ან კუდი, ხოლო სხეულზე ღრმა ჭრილობები ეტყობოდათ, რომლებიც სათევზაო ბადეებისგან ჰქონდათ მიყენებული. მკვლევარების აზრით, დელფინების დაღუპვა განპირობებულია საფრანგეთის ატლანტიკის ოკეანის სანაპიროსთან ზღვის ოკუნის რეწვით. დელფინები სათევზაო ბადეში ებმებიან და შემდეგ ჰაერის უკმარისობის გამო იღუპებიან. ზოგიერთი მათგანის განთავისუფლებას ასწრებენ, მაგრამ ისინი მიღებული ჭრილობებისგან მაინც იღუპებიან.

ძირძველი თბილისელი ლეგენდა, ჩვენი სასიქადულო ადამიანი, თბილისის საპატიო მოქალაქე, კარგი თამადა

გურამ საღარაძე

21 მარტს 80 წლის გაგვიხდა. ის უაღრესად განათლებულია, სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა, ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონია, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი. ის ჭიდაობაშიც ჩემპიონია, მაგრამ უფრო მაგარი კაცურ-კაცობაში. ყველა გაჭირვებულს გვერდში უდგას. ასეთი იყო სახელგანთქმული დიდი გივი კარტოზია. ის ჩემს მამიდაშვილთან რობა გოგოლაძესთან მეგობრობდა, იქედან ვიცნობდი. რუსთაველზე რესტორანი „დარიალი“ იყო ჩემი. სტუმრები ჰყავდა მინსკიდან და რომ დამინახა, გაუკვირდა. ფულის გადახდის დრო რომ მოვიდა, მე ვუთხარი, გადახდილია-თქო. მან მითხრა, იბოიას მეძახდა, აქედან ისე არ წავალო. მე ვუთხარი, ბატონო გივი, მე რომ თქვენთან ოჯახში მოვიდე, ვიქეიფო, ფულს გადამახდევინებ-მეთქი. ვახ, კაცო, შენ რა კაცი ყოფილხარ, სიტყვაში როგორ დამიჭირეო. ჩამეხუტა, გადამკოცნა და მითხრა, ამას არ დაგივიწყებო.

ჩვენი საყვარელი კოლორიტი კაცი, ჩვენი გურამიც ასე იქცევა. იმის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს, ჩემო გურამ! გივივით ყველას გვერდში უდგას. ერთხელ ომარ პაიჭაძემ მითხრა, ამ პატარა გულის პატრონი ამდენ სიყვარულს როგორ იტევო.

მოკლედ, ჩემო გურამ, მაგრად მიყვარხარ. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ შენს დიდ ოჯახთან ერთად. გფარავდეს ღმერთი მაღალი და წმინდა სვეტიცხოველი. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ამინ!

იბო დოლიძე

ინვალიდი კლუბში უშესაკრავი შარვლის გამო არ შეუშვეს

ინგლისის დარემის საგრაფოს ქალაქ პიტერლიში სმენადაქვეითებული ბრიტანელი მისი დაბადების დღეს კლუბში შეუფერებელი ტანსაცმლის გამო არ შეუშვეს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ჯეიმი ლი ჯონსმა თავისი დაბადების 30 წლისთავი ოჯახურ გარემოცვაში აღნიშნა და შემდეგ გადაწყვიტა მამინაცვალს შეერთებოდა, რომელიც იმ დროს ღამის კლუბში იმყოფებოდა. ჯეიმიმ, რომელიც სმენის დაქვეითების გარდა ცერებრალური დამბლით, ჰიდროცეფალიით, ეპილეფსიითა და ასთმითაცაა დაავადებული, დედას, 54 წლის ტრეისის სთხოვა, კლუბში გაჰყოლოდა.

ფეისკონტროლზე მცველებმა იუბილარი დაწესებულებაში არ შეუშვეს, რის მიზეზადაც შეუფერებელი ჩაცმულობა დაასახელეს, კერძოდ, მოკლე შარვალი. თუმცა მას შემდეგ, რაც ჯეიმი სახლში დაბრუნდა და ჩვეულებრივი შარვალი ჩაიცვა, დაცვამ ისევ არ შეუშვა კლუბში, ახლა უკვე შარვალზე ელვა შესაკრავის არ არსებობის გამო.

– მას არ შეუძლია ელვა შესაკრავიანი შარვლის ტარება. ის მხოლოდ ასეთი შარვლით ახერხებს ტუალეტში დამოუკიდებლად სიარულს, – განუმარტა ტრეისიმ, – მათ მართებთ გაგებით მოეკიდნონ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს.

– ის არ სვამს, არ ეწევა, არ იღებს ნარკოტიკებს, გვერდით დედა ახლდა, სხვა რაღა იყო საჭირო? – ამბობს ინვალიდის დედა. მოგვიანებით კლუბის თანამშრომლებმა ბოდიში მოუხადეს დედა-შვილს მომხდარის გამო და დაჰპირდნენ იმის გარკვევას, თუ ვინ იყო ამ ინციდენტში დამნაშავე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 მარტისთვის

ვერძი – ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობას ერიდეთ. ეძიეთ შემოსავლის განსხვავებული წყარო. **კურო** – ხელმძღვანელობასთან საკუთარ პრინციპებს ნუ დაიცავთ. ინტუიციას მიენდეთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოწესრიგება დღესვე დაიწყეთ. ერიდეთ კამათს უფროსობასთან. **კირჩხიბი** – ზედმეტ დატვირთვასა და ახალი საქმის დაწყებას ვარსკვლავები გიკრძალავენ. კარგი იქნება, თუ საღამოს ახლო მეგობრებთან ერთად გაატარებთ და მოდუნდებით. **ლომი** – კრიტიკული დღეა. კონტაქტები შეამცირეთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** – განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ბუნების წიაღში გასეირნება და მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** – პასიური დღეა. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროთ. **მშვილდოსანი** – შორს გამგზავრებას ერიდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრები, ასევე ყოველდღიური სამუშაო დაგქანცავთ. დრო გამოყავით სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად. **მერწყული** – დღის დადებითი ტენდენციები მძლავრობს. შესაფერისი პერიოდია ახალი ფინანსური გარიგებებისათვის. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. თხელი ფურცლოვანი რკინა; 2. მდინარე პოლონეთში; 3. ძვირფასი ქვა, მარჯანის ქართული სახელწოდება; 5. ნაყვავილარი, დამახინჯებული სახის მქონე ადამიანი; 6. შვედური ავტომობილი; 7. ბედიღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 11. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ღვინის სასმისი; 15. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 16. ბრიტანული ნამცხვარი; 17. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 19. კურკოვანი ხილი; 20. ბილიარდის მაგიდის ნაწილი.

თარაზულად: 1. ქართული გეოდეზიური სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი, აკადემიკოსი; 4. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანურ ქვეყნებში; 8. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. გადასახადი მიწით სარგებლობისთვის ძველად საქართველოში; 10. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 12. ყურის ექიმი; 14. პოპულარული მატონიზირებელი სასმელი; 15. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 18. გერმანული კოსმეტიკური ფირმა; 21. მოკლე ნიჩბიანი სპორტული ნავი; 22. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 23. უნგრელთა მეორე სახელწოდება

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წულა; 2. ბენცი; 3. აჭარა; 4. სქური; 5. ოფორტი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. გინეკოლოგი; 11. მარგალიტი; 14. შაგალი; 15. რეჰანი; 16. სამბა.

თარაზულად: 1. წურბელა; 4. სქოლიოზი; 7. ღვინო; 9. განგი; 12. მინდია; 13. ჰილეა; 14. შანიძე; 17. ხახული; 18. პროკლამაცია; 19. ბიონიკა; 20. ღალატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იდალგო; 2. გირჩი; 3. სუში; 5. ვაშაში; 6. წნევა; 7. ბომარშე; 11. ქორქია; 13. ბაირამი; 14. მედეა; 15. ჩხავერი; 16. ბახტაძე; 17. ამპერი; 19. იახტა; 20. ტუში.

თარაზულად: 1. ინგლისი; 4. ცეკვა; 8. შკოდა; 9. შალე; 10. ლეჩაქი; 12. ხალვაში; 14. მაქო; 15. ჩეფერინი; 16. ბედია; 18. ნავთი; 21. პერიე; 22. ძელშავი; 23. ტირანია.

„ნუ გვართმევთ ფილმების ქართულად ყურების უფლებას!“

ეს არის მოთხოვნა, რომელიც ინტერნეტში ნინა გოჩიტაშვილმა გავრცელა და საქართველოს კინოთეატრებში რუსულ ენაზე დუბლირებული ფილმების გაშვება გააპროტესტა.

ნინამ ინტერნეტში სპეციალური პეტიცია შექმნა, რომელსაც ათასობით ადამიანმა მოაწერა ხელი და საქართველოს კინოთეატრებში ოკუპანტურ ენაზე ფილმების გაშვება გააპროტესტა.

ნინა გოჩიტაშვილი:

– დღევანდელი მოცემულობით, საქართველოს კინოთეატრები არ ითვალისწინებენ საქართველოს კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე, 239-ე მუხლის მე-10 პუნქტს და 208-ე მუხლს, ამავდროულად, უგულებელყოფილია საქართველოს კანონი „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, 51-ე მუხლი, რაც გულისხმობს ქართულ კინოთეატრებში ქართული სუბტიტრებისა და დუბლირების აუცილებლობას თითოეულ ფილმში. რადგანაც საქართველოს ხელისუფლებას და იმ სამინისტროს, რომლის პირდაპირი ვალდებულებაა ქართული კულტურის განვითარება, არ სურთ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, სინეასტების გაერთიანება „სინეასტები“ მოითხოვს კანონის აღსრულებას:

1. ნუ გვართმევთ ფილმების ქართულად ყურების უფლებას.

2. არსებული მდგომარეობა, ალტერნატივის არ არსებობის პირობებში, გვაიძულებს კინოს, თანამედროვე კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას, არა სახელმწიფო ენაზე, ქართულად, არამედ ოკუპანტი ქვეყნის ენაზე, რუსულად გავეცნოთ.

3. უცხო ენის ცოდნის ვალდებულებას ნუ აკისრებთ იმ მაყურებელს, ვისაც სურს კულტურული გამოცდილების შეძენა.

როდის დააბრუნებენ ფოთში გურამ ფირცხალავას ბიუსტს?

მსახიობ გურამ ფირცხალავას ბიუსტი ფოთში საზეიმოდ გახსნეს, თუმცა სულ მალე ქალაქის ხელმძღვანელობას მისი აღების გადაწყვეტილება მიიღო. ამის მიზეზი ის გახდა, რომ მსახიობსა და ბიუსტს შორის არანაირი მსგავსება არ იყო და მას წარწერის გარეშე ვერავინ ცნობდა.

გურამ ფირცხალავას მშობლიურ ფოთში ბიუსტი ამ დრომდე არ აქვს. ფოთის მერმა მიიღო გადაწყვეტილება, მსახიობის ბიუსტი აეღოთ და უკეთესი დაემზადებინათ. როგორც გურამ ფირცხალავას ოჯახის წევრებს განუცხადეს, „ბრონზეში“ ბიუსტის ჩამოსხმა ძვირი ჯდება და ფოთის მერიას ამის ფინანსები არ აქვს.

ამ სამარცხვინო ფაქტს ფოთის თეატრის მსახიობი ჯანო იზორია გამოეხმაურა:

– ამ საკითხს მიაქციეთ ყურადღება და პროფესიონალს შეაქმნევინეთ ღირსეული ფოთელი კაცის ბიუსტი. სირცხვილია მართლა! მაგრამ ზოგიერთებს მანდ სირცხვილის გრძნობა აწყალებული გაქვთ.

ქალაქიდან სკოპი

წყვილმა შეცდომით ბინის მაგივრად მიტოვებული სახლი იყიდა

შოტლანდიაში წყვილმა შეცდომით 120 წლის მიტოვებული სახლი იყიდა ბინის მაგივრად და არ ინანა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალგაზრდებს ძალიან შეუყვარდათ მიტოვებული შენობა.

კელ ჰანტერი და მისი მეგობარი გოგონა კლერ სეგერენი აუქციონზე გლაზგოში ოროთახიანი ნახანძრალი ბინის ყიდვას აპირებდნენ, მაგრამ ჰანტერს ლოტების ნომრები აერია და შემთხვევით 30 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა სახლში, რომელიც ქალაქ დუნუნში მდებარეობდა.

შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, სახურავიდან წვიმა ჩადის. მათ სახლის აღება ურჩიეს, თუმცა წყვილმა მაინც მისი გადაკეთების გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ ძველებური იერი შეუნარჩუნონ.

– ჩვენ ტბის ნაპირას მდებარე ეს სახლი შეგვიყვარდა, – აღიარა წყვილმა. ისინი აპირებენ შენობა აღადგინონ, ის სამ ბლოკად დაყონ და ორი მათგანი გააქირავონ იპოთეკის დასაფარად.

ამჟამად ახალგაზრდა წყვილი სახლის ეზოში ბორბლებიან სახლში ცხოვრობს. მათ არც ისე დიდი თანხა აქვთ, ამიტომ მათ სახლის დალაგება და აღდგენა საკუთარი ძალებით და მეგობრების დახმარებით უწევთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამარ ივერი კონტაქტური ზოოპარკების სიძვირეს აპროტესტებს

ოპერის მომღერალი თამარ ივერი კონტაქტური ზოოპარკების სიძვირეს აპროტესტებს. მისთვის მოზრდილისა და პატარას ბილეთის ერთნაირი საფასური მიუღებელია:

– თბილისი მოლში და ბათუმი მოლში განთავსებულია კონტაქტური ზოოპარკები. თავად იდეა სადავოა, ერთი ბეწო ტერიტორიებზე გამომწყვდეული საბრალო ცხოველები. გატრუნულები და დაზაფრულები, რომ ვინმე ონავარმა ბავშვმა თავში არ ჩაუჩაჩქუნოთ. ვფიქრობ, რომ უმჯობესია საერთოდ არ იყოს! მაგრამ....

მოზრდილის და ბავშვის შესასვლელი ფასი ერთნაირად 7 ლარი რომ არის, ხომ არ ფიქრობთ, რომ სირცხვილია? მსოფლიოში ასეთ ადგილებში მიღებულია, რომ 6 წლამდე ბავშვებში უფასოა შესვლა და 6-დან 12 წლამდე ნახევარი ფასია. სირცხვილია, იმისთვის, რომ ბავშვმა ცხოველს თავზე გადაუსვას ხელი.... მის ოჯახს ასე ფცქვნით და წეწავთ!

ცხოველთა ნაირსახეობაც საკმაოდ უსახური და მწირია მოცემულ ფასთან შედარებით. ერთ პატარა ოთახში შეყრილია ძირითადად შინაური ცხოველები, რასაც სოფელშიც კარგად ნახავ და უსასყიდლოდაც მოეფერები.

ასე და ამგვარად, შევსულიყავით ოჯახით ასეთი „ოთახის“ ზოოპარკში. კურდღლების და ცხვრების თავზე ხელის გადასმაში 2 მშობელს და 2 ბავშვს ერთნაირი ტარიფით 28 ლარი მოგვთხოვეს.

იმედია, ამ პოსტის შემდგომ მაინც შეცვლიან მომსახურების და „თავზე ხელის გადასმის“ აბსურდულ ტარიფებს!

დავით არჩვაძეს სიმღერა მოპარეს

მომღერალ დავით არჩვაძეს სიმღერა „ალუბლები“ მოპარეს. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, სიმღერა დაცული ყოფილიყო, ხელოვანმა ეს ვერ მოახერხა:

– მაინც მომპარეს „ალუბლების“ მინუსი თავიდანვე და ვავრცელებ ოფიციალურ ორიგინალ კარაოკე ვერსიას კარგი ხარისხით და ჩემივე ბექებით!

იმღერეთ და იცეკვეთ, ქართველებო, რამდენიც გინდათ! რესტორანში, სახლში, მანქანაში, აბაზანაში და ა.შ. და, რაც მთავარია, სხვისი კუთვნილების მოპარვას თავი დაანებეთ, რომელ კუთვნილებაშიც საკუთარი ტვინი და ჯიბე აქვს დახარჯული შემოქმედ ადამიანს!

დათო მაღრაძე იტალიაში დააჯილდოვეს

ქართველი პოეტი დათო მაღრაძე იტალიის დედაქალაქ რომში დანტე ალიგიერის საზოგადოებამ ოქროს მედლითა და საპატიო დიპლომით დააჯილდოვა.

ჯილდო დავით მაღრაძეს „დანტე ალიგიერის საზოგადოების“ გენერალურმა მდივანმა ალესანდრო მაზიმ პირადად გადასცა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც დათო მაღრაძეს იტალიაში აჯილდოვებენ. მისი შემოქმედება იტალიელი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი და ქართველი პოეტის ლექსები არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა ჯილდოსა და პრიზის მფლობელი.

მოსკოვში თანამედროვე კინოს უდიდესი კინორეჟისორი მარლენ ხუციევი გარდაიცვალა



მოსკოვში 94 წლის ასაკში გარდაიცვალა თანამედროვე კინოს ერთ-ერთი უდიდესი კინორეჟისორი, კინოკლასიკოსი, სცენარისტი, პედაგოგი, მსახიობი და უბრალოდ საოცარი ადამიანი მარლენ ხუციევი.

რეჟისორი თბილისში დაიბადა. კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ოდესის კინოსტუდიასა და მოსფილმში. მისი სადიპლომო ნამუშევარი, ფელიქს მირონერთან ერთად იყო ფილმი „ქალაქთმშენებლები“. მარლენ ხუციევის ფილმს „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“ მიენიჭა ბრინჯაოს მედალი მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე.

რეჟისორის გადაღებულია ფილმები „ორი თედორე“, „მე ოცი წლისა ვარ“, „ივლისის წვიმა“, „ბოლოსიტყვაობა“. მის მიერ გადაღებულ ფილმს „მაისის თვე იყო“ მიენიჭა პრემია პრაღის ტელეფილმების VII საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფილმმა „მე ოცი წლისა ვარ“ კი მიიღო პრიზები ვენეციისა და რომის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

თერმალურ წყლებზე ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიციის ყოფილი თანამშრომლები და კოლეგები – სერგო (სოსო) ნეფარიძე, ელგუჯა გზირიშვილი, თემურ ნეფარიძე, ვლადიმერ ხუნია, ნანა ალფაიძე, ნანა ამირეჯიბი, ნანა ცხვედიანი, ვასილ კურატიშვილი, ეთერ კანკავა, მანანა ცუცქირიძე, ოთარ თურმანიძე, ტრისტან დვალიძე, შოთა ტაბატაძე, ნელი ალთუნაშვილი, ნანა ოჩხიკიძე, თინა ბარბაქაძე, ალვარი ხუნდაძე, ვიკა ღვინიანიძე, ლენა კასიანი, ამირან ობოლაძე, გრიგოლ ბერუაშვილი, დავით ყვავაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი გეოლოგი, გულისხმიერი და კეთილშობილი ქალბატონი

დოდო ღამბაშიძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ფრიდონ ზაქარეიშვილს

შენმა მწუხარებამ, ძვირფასი მამის, ბატონი

ტარიელ ზაქარეიშვილის

გარდაცვალების გამო სევდით ამავსო. შენი ტკივილი ხომ ჩემი ოჯახის ტკივილია. უდედობას მისი წყალობით იტანდი.

ეჰ! რა ულმობელია წუთისოფელი თავისი მწარ-ტკბილი კანონებით.

ღრმად გითანაგრძნობ.

ნანა დარჩიაშვილი – ზაზა, ზვიად, ირაკლი ზაქარეიშვილების დედა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჭავჭავაძის გამზირზე კერძო ავტომანქანები გაჩერებას ვეღარ შეძლებენ – რა არის მერიის მიზანი?

თბილისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროს მამუკა მუმლაძის განცხადებით, ადამიანებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის არქონის გამო, ძალიან ბევრი ავტომობილი შეიძინეს.

ამის შესახებ მუმლაძემ გადაცემა „საქმის კურსში“ განაცხადა და დასძინა, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს აქვს ხედვა, შეიქმნას ახალი Bus Line-ბი, რათა ავტობუსები გაცილებით სწრაფად გადაადგილდეს.

მისივე თქმით, ჭავჭავაძის გამზირზე კერძო ავტომობილის გაჩერება აღარ იქნება შესაძლებელი და ტაქსებიც მოქალაქეებს კონკრეტულ ადგილზე მიაკითხავენ.

– ჩვენი მიზანი და პოლიტიკაა, რომ მკვეთრად შემცირდეს კერძო მანქანების რაოდენობა და გაიზარდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარება. დედაქალაქში საზოგადოებრივი სისტემის არქონის გამო ადამიანებმა ძალიან ბევრი ავტომობილი შეიძინეს. ჩვენი მიდგომაა, რომ ავტობუსისთვის გამოყოფილი ზოლები შეიქმნას იმისთვის, რომ მოხდეს მათი სწრაფი გადაადგილება. ჩვენი ხედვით, ეს უნდა იყოს კომფორტზე ორიენტირებული და ტაქსმა მოქალაქეს კონკრეტულ ლოკაციაზე უნდა მიაკითხოს, – განაცხადა მუმლაძემ.

მისივე თქმით, ქუჩების სარეაბილიტაციო პროექტები უკვე შემუშავებულია; ჭავჭავაძის გამზირზე Bus line ორივე ზოლზე იქნება დახაზული და ავტომობილებს მთავარ ქუჩაზე გაჩერება აეკრძალებათ.

– Busline-ები ყველგან არ იქნება, მხოლოდ ისეთ ძირითად ქუჩებზე, სადაც პრობლემებია გადაადგილების კუთხით. დამუშავებულია მელიქიშვილის გამზირი, სადაც რეაბილიტაციის დროს რუსთაველიდან მომავალ ავტობუსებს აღარ მოუწევთ ვარაზისხევის ამოსვლა და პირდაპირ გადაკვეთენ მელიქიშვილს საპირისპირო მიმართულებით. გარდა ამისა, ვაპირებთ კოტე აფხაზის (ყოფილი ლესელიძე) ქუჩაზე შევუშვათ ავტობუსები. ჭავჭავაძეზე კვეთა და შესასვლელი სადაცაა, ყველგან იქნება შესაძლებელი, რომ შევიდეს კერძო ავტომობილი, – განაცხადა მან.

BMG

სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების წესი იცვლება

თბილისის მერი კახა კალაძე საზოგადოებას სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ახალ კონცეფციას უახლოეს მომავალში გააცნობს. ამის შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა განაცხადა.

კახა კალაძის თქმით, შენობების ექსპლუატაციაში მიღების წლების განმავლობაში არსებულმა პრაქტიკამ უსაფრთხოების მხრივ გარკვეულ პრობლემები დააგროვა და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მხრიდან არსებული წესების გადახედვის საჭიროება შექმნა.

– მუნიციპალური ინსპექციის ვალდებულებაა, როგორც სამშენებლო პროცესის, მათ შორის სამშენებლო უსაფრთხოების კონტროლი, ასევე, დასრულებული სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება. ამ მიმართულებით, ვიცით, რომ პრობლემები გვაქვს, რომელიც ბოლო წლებმა გვაჩვენა. ადამიანებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ისეთ შენობა-ნაგებობებში ეცხოვრათ, რომელიც ექსპლუატაციაში არ იყო მიღებული, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ მიმართულებით წესების გადახედვა და დახვეწაა საჭირო. სწორედ ამიტომ შევუდექით მუშაობას და შევიმუშავეთ კონცეფცია, როგორც ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან, ისე მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. უახლოეს მომავალში ვაპირებ, საზოგადოებას სრული ინფორმაცია მივაწოდო იმ ცვლილებებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელიც ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა მიიღო, – განაცხადა კახა კალაძემ.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.684
- ევრო — 3.0474
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5662
- 100 რუსული რუბლი — 4.1721

ამინდის პროგნოზი 21 მარტისთვის



„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“



12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

სალმრთო ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

21 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

შემეცნებითი მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 მარტიდან

ანდრე ჟიდი

ცოლთა სკოლა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ანეკდოტი

ერევნის რადიო აცხადებს:

– პატივცემულო მოქალაქენო, ჩვენი ზოოპარკიდან ენოტი გაიქცა. ვინც ნახა, ზოოპარკის სალაროში 3000 დრამი უნდა გადაიხადოთ.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გოგო, გუშინ ჩემი გინეკოლოგი ფეისბუქზე დამიმეგობრდა...

– მერე?

– რა მერე, ნეტავ რაღა დარჩა სანახავი?

•••

მეზობელი მიხოს ეკითხება:

– როგორ ხარ, მიხო?

– ჩონგურივით.

– ეგ როგორ კაცო?

– როგორ და მეც სამი ლარი მაქვს და ჩონგურსაც...

•••

ნარკომანი ახლად შერთულ ცოლს ეკითხება:

– ქალიშვილი ხარ?

– კი.

– აუ, ახლა ამას ეჯაჯგურე კიდევ...

•••

მიხოს გოგოს ურიგებენ. კარგად შეთვალიერების შემდეგ ეკითხება:

– გოგო, შენ რა, ელამი ხარ?

– ხო, ჩოტათი!

– ლაპარაკიც გიჭირს?

– ხო, ჩოტათი!

– შენ მგონი ქალიშვილიც არ იქნები?

– ჰო, ეგ სამი ნაკლი მაქ მხოლოდ.

•••

მამა შვილს ეკითხება:

– აბა შვილო, დღეს რა გააკეთე სკოლაში?

– დედა დავხატე.

– შე უპატრონო, რა ყოველდღე დედას ხატავ, მეტს არაფერს გაკეთებინებენ ის შობელძაღლები?

– რა ვიცი, შემოვიდა კუკური მასწავლებელი და დაიძახა: „აპა ბაღნებო! ყველამ ხატეთ ახლა, თქვენი დედა...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– აქამდე ყოველ დილით ერთ ჭიქა წყალს ვსვამდი, დღეს კი შემეშალა და არაყი დავლიე...

– მერე?

– ასეთი შესანიშნავი დილა არასოდეს მქონია!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კეილორ ნავასი: „სოლარი შანსს საერთოდ არ მაძლევდა“

მადრიდის რეალის პუერტორიკოელმა მეკარემ, კეილორ ნავასმა, რეალის ყოფილ მთავარ მწვრთნელზე სანტიაგო სოლარიზე ისაუბრა და თქვა, რომ არგენტინელი სპეციალისტი მას საერთოდ არ აძლევდა შანსს.

ნავასის თქმით, ზიდანის დაბრუნებამდე ის რეალიდან წასვლაზეც კი ფიქრობდა:

– როდესაც სოლარი ჩვენთან მუშაობდა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მოედანზე არასოდეს გამოვიდოდი. მიხარია, რომ ჩვენი მწვრთნელი ისევ ზიდანია, რადგან ვიცი, რომ შანსი მექნება.

წლევანდელ სეზონში ნავასმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა და მისი ადგილი ტიბო კურტუამ დაიკავა.

ვან დეიკი: „მოჰამედ სალაჰი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა“

ლივერპულის მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა განაცხადა, რომ მოჰამედ სალაჰი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შემტევია და სალაჰზე წინ მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი დგას. ვან დეიკის აზრით, ლივერპულის წარმატება დიდწილად სწორედ სალაჰის დამსახურებაა, რადგან ის მუდმივად კარგ ფორმაშია.

– სალაჰთან ერთად თამაში დიდი პატივია და მიხარია, რომ ის ჩემი თანაგუნდელია. სალაჰმა ბოლო წლებში ბევრი რამ დაამტკიცა და არ მესმის, როდესაც მას აკრიტიკებენ. ლივერპულის ყველა გულშემატკივარი კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ ის ჩვენთან არის, – განაცხადა ვან დეიკმა.

ალექსის სანჩესმა თავის მომავალზე ისაუბრა

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა ალექსის სანჩესმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს მანჩესტერს ბევრი წარმატება მოუტანოს.

სანჩესის აზრით, მას შეუძლია ისევ ჩადგეს კარგ ფორმაში.

– ვიცი, რომ ბოლო პერიოდში ვერ ვაჩვენებ იმ თამაშს, რასაც ჩემგან ელიან, მაგრამ მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ და ვთვლი, რომ შემიძლია ისევ დავიწყო გოლების გატანა და ჩემს გუნდს წარმატება მოვუტანო. მინდა, რომ იუნაიტედთან ერთად ბევრი ტიტული მოვიგო, – განაცხადა ალექსის სანჩესმა.

ვინიციუს ჯუნიორი: „ჩემი ყიდვა ბარსელონასაც უნდოდა“

მადრიდის რეალის ახალგაზრდა ბრაზილიელმა ფორვარდმა ვინიციუს ჯუნიორმა განაცხადა, რომ მას რეალი და ბარსელონა ერთდროულად ეპატიჟებოდნენ, თუმცა მან რეალი ამჯობინა. ვინიციუსის თქმით, ის თავის გადაწყვეტილებას არ ნანობს:

– რეალი და ბარსელონა ორივე უდიდესი გუნდია და მათ შორის არჩევანის გაკეთება იოლი არ იყო, თუმცა კაზემირომ და მარსელომ დამარწმუნეს, რომ რეალში უნდა გადავსულიყავი. მიხარია, რომ რეალის წევრი გავხდი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სამშობიაროს შეცდომის გამო გოგონები უცხო ოჯახებში გაიზარდნენ

ხანდაზმულმა ამერიკელმა ქალბატონმა შეიტყო, რომ სამშობიაროში დაშვებული შეცდომის გამო სხვის ოჯახში იზრდებოდა და საკუთარ ნამდვილ მშობლებს არ იცნობდა.

ნათესავების თხოვნით, რომლებიც გენეალოგიით არიან გატაცებულები, პენსილვანიის შტატის ქალაქ დიუბუას მკვიდრმა, 77 წლის სანდრა ბარონიკ-პაინმა დნმ-ს ტესტი გაიარა. მისი შედეგით კი გაირკვა, რომ მისი მშობლები წარმოშობით იტალიიდან იყვნენ. ქალმა გადაწყვიტა, რომ შეცდომას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან მისი მშობლები სლოვაკები იყვნენ.

იგივე სერვისით ისარგებლა პენსილვანიის კიდევ ერთმა მკვიდრმა ქალბატონმა დებრა მონაკო-ზაფუტომ. ის იტალიურ ოჯახში გაიზარდა, რომელიც დიუბუადან 20 კილომეტრში მდებარე ქალაქ ბროკუეიში ცხოვრობდა. დნმ-ს ტესტმა აჩვენა, რომ მას მისთვის უცნობი და ჰყავდა სანდრა ბარონიკ-პაინი. მართალია მათ ერთი და იგივე დედა და მამა ჰყავდათ, მონაკო-ზაფუტოს მათ შესახებ არაფერი სმენოდა.

როგორც გაირკვა, ბარონიკ-პაინი იმავე დღეს და იმავე საავადმყოფოში დაიბადა, სადაც გაჩნდა მონაკო-ზაფუტოს მეორე და შანდრა მონაკო-სმიტი. მშობლების და და-ძმისგან განსხვავებით, სანდრას ღია ფერის თმები და ცისფერი თვალები ჰქონდა. ბავშვობაში მისი ასეთი განსხვავებულობა ოჯახის წევრებისგან არაერთხელ გამხდარა დაცინვის საგანი.

დნმ-ს ტესტმა დაადასტურა შანდრა მონაკო-სმიტის გენეტიკური კავშირი სანდრა ბარონიკ-პაინის ოჯახთან. სავარაუდოდ, ახალდაბადებული გოგონები სამშობიაროში აერიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. აბრეშუმის ჭია; 2. წიაღისეულის მომპოვებელი მიწისქვეშა საწარმო; 3. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 4. გემთმშენებელი საწარმო; 5. ქვა-ღორღის დამაქუცმაცებელი მანქანა; 6. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 8. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი შტანგისტი; 10. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 11. მოულოდნელი საჩუქარი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. ცბიერი ადამიანი.

თარაზულად: 1. ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 4. პორტუგალიური ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს; 7. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 9. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 12. ღვინის ვაჭარი ძველად; 13. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 14. პატარა სასეირნო გემი; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. კანტონი, ტბა, ქალაქი შვეიცარიაში; 20. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა